

საქართველოს სსრ  
კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო  
დაწესებულებების საქმეთა სამმართველო

---

გივი გიქაძე

ქართული ხელნაწილების  
შესწავლა და აღწერა

თბილისი  
1957

## წინასიტყვაობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ქართული კულტურის ამსახველი ძეგლები მონასტრებისა და კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ არ არსებობდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ამსახველი ისტორიული დოკუმენტების საფუძვლიანი გამოყენების შესაძლებლობა. ამგვარი ზასიათის დოკუმენტების გამოსაყვანად და შესასწავლად მკვლევართ უხდებოდათ საკუთარი ინიციატივით გამგზავრება სხვადასხვა ადგილას, რომ დალუპვისაგან გადაერჩინათ ესა თუ ის ძვირფასი მანუსკრიპტი ან საყურადღებო ხელნაწერი. ასე მაგალითად, ქართლში მოგზაურობის დროს აკად. ექვთ. თაყაიშვილმა შემთხვევით გადაარჩინა დალუპვას ჩვენი იურიდიული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის — „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემცველი ერთადერთი ხელნაწერი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველმა ხალხმა შესაძლებლობა მიიღო თავისი ისტორიული ძეგლებისათვის თავი მოეყარა სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში — არქივებსა და მუზეუმებში და ეს სიძველეთსაცავეები გადაექცია მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ბაზად.

საქართველოს მუზეუმების საცავეებში დაცულია ძველი ხელნაწერებისა და საბუთების მდიდარი ფონდები. ამასთან, ისინი წარმოადგენენ მზარდ ფონდებს — დღითი დღე მატულობს მათში დაცულ ხელნაწერთა და საბუთთა რიცხვი. ზოგიერთ მუზეუმში იმდენად გაიზარდა ხელნაწერთა რაოდენობა, რომ საჭირო გახდა მის სისტემაში ცალკე ხელნაწერთა განყოფილების ჩამოყალიბებაც. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოს წარსულის საფუძვლიანად შესწავლის საქმეში. ეს მასალები იძლევა მრავალი ფაქტისა და მოვლენის ახლებურად გაშუქებას.

მუზეუმების მუშაკთა ვალდებულებასა და საპატიო მოვალეობას შეადგენს აღნიშნული ფონდების დაცვა, მოვლა და მეცნიერული შესწავლა, ამისათვის კი საჭიროა, პირველ ყოვლისა, მათ მუზეუმში დაცული ფონდების ძველ ხელნაწერთა აღწერა. უკვე დიდი ხანია საჭირო გახდა საქართველოს მუზეუმების ქართული ხელნა-

წერების სრული და ერთიანი წესით შედგენილი პირველადი აღწერილობის გამოქვეყნება.

ქართული ხელნაწერების პირველადი აღწერილობა მნიშვნელოვნად გაუადვილებს ჩვენს მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს საქართველოს მუზეუმებში დაცული უმდიდრესი და უნიკალური მემკვიდრეობით სარგებლობას. ამიტომ ცუხუჩები შეუდგნენ თავიანთი ფონდების სამეცნიერო აღწერილობათა გამოქვეყნებას. უკვე გამოქვეყნდა აკად. სიმ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერების აღწერილობათა ერთი ნაწილი. გაცხოველებული მუშაობა წარმოებს დანარჩენი ნაწილების გამოსაქვეყნებლად.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს მეთოდური ხასიათის წერილს, როგორც ნაწილობრივად მაინც დაეხმარება მუზეუმის მუშაკს ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის დროს. წერილში შეძლებისდაგვარად განხილულია ხელნაწერების შესწავლისა და მის აღწერასთან დაკავშირებული საკითხები. მართალია, ეს საკითხები ერთნაირი სისრულით არ არის მოცემული და გაწუქებული, მაგრამ, ფიქრობთ, შრომა ამ სახითაც დაეხმარება დაინტერესებულ პირთ.

შევეცადეთ წერილში სრულად მოგვეცა ძველ ხელნაწერებში ნახმარი ტერმინები და სპეციალური გამოთქმანი. ძველი ტერმინების ცოდნა მუზეუმის მუშაკს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ხელნაწერების გარეგან აღწერილობას და მისი შინაარსის გამოვლინებას.

გარდა „გამოყენებულ ლიტერატურაში“ დასახელებული ნაშრომებისა, წინამდებარე შრომისათვის გამოვიყენეთ აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებისათვის შემუშავებული ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქცია, როგორც პირველად შეადგინა ჯერ კიდევ 1939 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა, და დასახელებული მუზეუმის ხელნაწერები.

რა თქმა უნდა, ეს მეთოდური წერილი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. ამიტომ ავტორი სიაპოვნებით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნას, როგორც ამ ბროშურასა და პრაქტიკული მუშაობისათვის მიზანშეწონილი იქნება.

## ქართული დანაჩილობა და მისი სახეები

ქართულ დაწერილობის წარმოშობის საკითხს ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ქართულმა დაწერილობამ გაიარა განვითარების სამი საფეხური. უძველესი ქართული ძეგლები დაწერილია მრგვალი მოყვანილობის ასოებით (იხ. სურ. 1). ამ ასოებს ძველად მრგვლოვანს, მგრგლოვანს უწოდებდნენ, დღეს კი მას ჩვეულებრივ მთავრულს ვეძახით.

ამ მრგვლოვანი ქართული ანბანიდან მეცხრე საუკუნეში წარმოიშვა მეორე ანბანი, რომლის ასოების საერთო მოყვანილობა კუთხოვანია (იხ. სურ. 2). ამ დაწერილობას ნუსხური ჰქვია. ეს ანბანი ბატონობს X — XI საუკუნეებში. უზღვევ ხანებში კი იგი იხმარებოდა. თითქმის მხოლოდ საეკლესიო მიზნებისათვის.

ამ ნუსხურიდან XI საუკუნეში წარმოიშვა დანრგვალეული სახის ასოები, რომელიც XIV საუკუნიდან ჩამოკალიბდა მხედრული დაწერალობის სახით. რა თქმა უნდა, მხედრული ანბანის სახე მაშინ სხვა იყო, ვიდრე ახლა ა-ის, რადგან თავისი განვითარების მანძილზე ასოთა გამოსახულება რამდენადმე შეიცვალა. მხედრულ ანბანით ძირითადად იწერებოდა სამოქალაქო წიგნები (ისტორიული მატეიანეები, სცვდასიფა საბუთები, მათეურული ნაწარმოებნი და სცვ.).

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სამივე სახის დაწერილობა პარალელურად იხმარებოდა XVII საუკუნემდის. მრგვლოვანს ხმარობდნენ სათაურებისათვის წიგნებში ან როგორც მთავრულ ასოებს ნუსხურად (ზოგჯერ მხედრულად) დაწერილ წიგნებში, ნუსხური კი იხმარებოდა უმთავრესად საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტისათვის.

როდესაც XI საუკუნეში მხედრულზე გადავიდა თითქმის ყოველგვარა ქართული მწერლობა, გარდა საეკლესიოსი, გაჩნდა ტერმანები ხუცური და მხედრული. ხუცურში იგულისმებოდა საეკლესიო პრაქტიკაში გამოყენებული მრგვლოვანი და ნუსხური, ხოლო მხედრულში კი — სამოქალაქო საქირებებისათვის გამოყენე-

ბული ახალი ასოები. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ტერ-  
მინები „ხუტური“ და „მხედრული“ XIII საუკ. დამლევს და  
XIV საუკ. დამდევს უნდა იყოს შემოსული. /

\* \* \*

ქართულში ბევრი სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის დაწე-  
რილობა იყო ცნობილი.

ნუსხა-ხუტურად ნაწერ ზოგიერთ ხელნაწერში უკანასკნელი  
სტრიქონების ასოების ქვედა ნაწილი ძალზე გაგრძელებულია და  
ბოლოში ფრინველის კლანჭებისა და გვარად მოკაუჭებულია. აღნი-  
შნული სახის დაწერილობა მხატვრულად ნაწერ ძველ წიგნებში  
გვხვდება. დაწერილობის ამ განსაკუთრებულ სახეს ყუავეის-  
ფრჩხილოვანი ეწოდება. ყუავეისფრჩხილოვანი დაწერილობის  
საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მიქელ მოდრეკელის ცნობილი  
საგალობლების წიგნი. ერთ-ერთ ხელნაწერში კი ყუავეისფრჩხილოვ-  
ნად წერია: „ღო შე ცოდვილი ბერი გერონტი. ან“ (S 1360,  
გვ. 778).

დანიშნულებისდა მიხედვით გამოირჩეოდა მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ რ ბ-  
რ უ ლ ი და წ ე რ ი ლ ო ბ ა, როქელსაც თავისი დამახასიათებელი  
თავისებურება ემჩნევა. ეს დაწერილობა მხოლოდ საბუთებისათვის  
იხმარებოდა მდივანმწიგნობრების მიერ. რადგან მდივანმწიგნობ-  
რებს ხშირად კარნახით და სწრაფად უხდებოდათ წერა, მაგრამ,  
ამისდა მიუხედავად, მეფეთა სიგელები შესაფერისად უნდა ყოფი-  
ლიყო გაფორმებული, ამიტომ საბუთთა დაწერილობას სხვებზე  
უფრო მეტი თავისებურება დაეტყო და თავისი დამახასიათებელი  
ნიშნებით სხვა დაწერილობათაგან ადვილად გამოირჩევა. კლასი-  
კური მდივანმწიგნობრული დაწერილობის ნიმუშია ბაგრატ IV-ის  
1060—1055 წლების სიგელი (იხ. ილ. აბულაძის „პალეოგრ. აღ-  
ბომი“, ტაბ. 113).

მხედრული დაწერილობის ერთ-ერთ თავისებურ სახეს წარმო-  
ადგენს ე. წ. „დ ე დ ა ბ რ უ ლ ი ხ ე ლ ი“. აღნიშნული დაწერილობა  
ნიშანდობლივია XIX საუკ. პირველი ნახევრის გურია-აჭარისათვის.  
ამ სახის დაწერილობით უმთავრესად ქალები აწარმოებდნენ მიმო-  
წერას. „დედაბრული ხელით“ ნაწერი საბუთების ნიმუშები გამო-  
ქვეყნებული აქვს თ. ხაეომიას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, „მიმომხილველი“-  
I, 1949, გვ. 87—97.




დაწერილობის მხრივ მეტად საყურადღებოა აგრეთვე „სამოციქულოს“ ერთ-ერთი ხელნაწერი (A 677), რომელიც ბეჩინულ-ებრაულის მიმსგავსებითაა ნაწერი.

ჩვეულებრივი დაწერილობისაგან განსხვავებით, არსებობდა ისეთი დაწერილობაც, რომლის თავისებურებას ყვავილის მსგავსად ჩამონაკეთილი ასოთა კიდურები შედგენდა. ასეთ დაწერილობას დღეს კიდურყვავილოვანი დაწერილობა ეწოდება. კიდურყვავილოვანი დაწერილობით არის შესრულებული, მაგალითად, შალვა ერისთავის 1460 წლის ანდერძის დასაწყისის სტრიქონი (იხ. ილ. აბლაძის „პალეოგრაფიკა“, ტომ. 124). ამ დაწერილობათვეა შესრულებული „ამირან დარეჯანიანის“ ერთ-ერთი ხელნაწერის (A 441) ბოლო სტრიქონები.

\* \* \*

არსებობდა აგრეთვე განსაკუთრებული დაწერილობაც, რომელიც დაწყობილი იყო ასოთა გადწვანა-გადახლართვაზე. ამგვარ დაწერილობას თხზული ანუ დაქსელილი ეწოდებოდა. თხზული დაწერილობა არის საგანგებო, მატერული დაწერილობა, რომლის დროსაც სტრიქონი შეკრულია ერთ მთლიან, უწყვეტ ლექსურ-თმად. თხზულ დაწერილობაში გამოყენებულია ორი ხერხი: 1. შემოკლება და 2. შემკობა. ამ საშუალებებით შესაძლებელი ხდება მოკლე ტექსტისათვის გამოყოფილ ადგილში ლამაზად განლაგდეს ამ ტექსტისათვის აუცილებელი ასოთა რიცხვი. ასოთა დიდი რაოდენობის დროს და ადგილის სიმცირის შემთხვევაში მიმართავენ შემოკლებას, ხოლო ასოთა მცირე რაოდენობის დროს და ადგილის სიდიდის შემთხვევაში მიმართავენ შემკობას — თავისუფალ ადგილებს ავსებენ სივადასხვა მხატვრული სამკაულით.

არსებობს თხზული დაწერილობის რანდენრზე სახე. ერთი სახეა, როდესაც ორი ერთიმეორის გვერდით მდგომი ასო ერთმანეთზე გადახლართულია. ასეთ ასოებს ჩაწნული ასოები ჰქვია. მეორენაირი თხზული დაწერილობის დროს რომელმე ასო წინამდგომ ასოს შუა გულში, მის წიაღში არის მოთავსებული. რათქმა უნდა, შუაში ჩასმული ასო დანარჩენი ასოებისგან ტანით განსხვავდება და უფრო პატარაა. ასეთ ასოებს შეწიადებული ასოები ეწოდება. თხზული დაწერილობის დროს ზოგჯერ ერთი ასო მეორე ასოს ზევით არის გადაბმით დაწერილი. ასეთ ასოებს ჰქვია აგოდლებული ასოები, ხოლო, ზენჯდომ ასოებს — აღზევებული ასოები.



სურ. 2. ნესხური დაწერ ღობა.  
(მოქვის ოთხთავი, 1306 წ.)



არის ისეთი თხზული დაწერილობაც, რომლის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ასოების ბუნთა (ასწერივი ხაზების) შეერთება. ამგვარად დაწერილ ასოებს ბუნშეჯღლ ასოებს უწოდებენ.

საკირთა გავარკვიოთ, როგორი თანამიმდევრობი წავ კითხვას ასოები თხზულად ნაწერ სტრიქონში. უმეტესად თხზვა იცავს კითხვისა და წერის ჩვეულებრივ თანამიმდევრობას. უფრო ძნელია დავადგინოთ თხზულის წაკითხვის წესი ვერტიკალური შეერთების დროს: აქ შესაძლებელია წაკითხვა ზემოდან ქვემოთ და შებრუნებული მიმართულებით. ასეთ შემთავევებში უნდა მივმართოთ ორივე თანამიმდევრობით წაკითხვას და ტექსტის შინაარსის გამოყენებით გავარკვიოთ ნაწერის ამოკითხვის მიმართულება.

როგორც ვხედავთ, თხზული თუ დაქსელილი ასოები ერთიმეორეზე გადაწული ასოები იყო. ასეთი დაწერილობა უფრო ხშირად გვხვდება თხზულების სათაურება, თავებსა და პერიოდების დასაწყისი სიტყვების პირველი ასოებისათვის. თხზული დაწერილობა მთლიან ტექსტშიც იშვარებოდა. ასე, მაგალითად, ასომთავრული ხუცური თხზული დაწერილობით არის შესრულებული მთელი გვერდი ერთ-ერთ ხელნაწერში (A 399, ფ. 53ა).

დაქსელილი ასოების ნიმუშები როგორც ხუცური, ისე მხედრული მოცემული აქვს ნიკოლოზ თბილელს, ორბელიანს (S 303) და თეიმურაზ ბატონიშვილს (H 2225). ასომთავრული ხუცური თხზულისა (სურ. 7) და მხედრული თხზული (სურ. 3) დაწერილობის ბევრი ნიმუშია ხელნაწერში A 347. ასომთავრული ხუცური თხზულის ნიმუშები მოცემული აქვს ვახტანგ ორბელიანსაც (Q 225).

ძველ ხელნაწერებზე მომუშავე ხშირად შეხვდება სხვადასხვა სახის ჩანაწერებსა და მანაწერებს, რომლებიც შესრულებულია საიდუმლო ანუ სამალავადი დაწერილობით. საიდუმლო დაწერილობით შესრულებული მინაწერები და ჩანაწერები უმეტესად გვხვდება აელნაწერის დასაწყისში ან ბოლოში, ყდის შიდა მხარეზე ან ხელნაწერის ფურცლების ცარიელ ადგილებზე (შეუვსებელ გვერდებზე).

ქართულ საიდუმლო დაწერილობას (კრი ტოვრაფიას) დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი გაოყენება დანოწმებულია ჯერ კიდევ X საუკუნის ძეგლებში. ქართული საიდუმლო დაწერილობის უძველესი ნიმუშად, რამდენადაც ამისი გარკვევა შესაძლებელი ხდება დღემდე შემონახული ძეგლებით, ჯრუჭის სახარების მომიატველის თევდორეს



სურ. 3. მხედრული თხზული დაწერილობა.

კრიპტოგრაფია უნდა ჩაეფალოს. ეს კრიპტოგრაფია შესრულებულია 940 წელს. საიდუმლო დაწერილობის მეორე უძველეს ნიმუშად იოანე ზოსიმეს კრიპტოგრაფია უნდა ჩაითვალოს. იოანე ზოსიმემ 960 — 987 წლებს შორის სინას მთაზე გადაწერა „დასდებულთა“ წიგნი, რომლის მინაწერშიც კრიპტოგრაფიულად ჩაურთო თავისი სააელი. საიდუმლო დაწერილობის მესამე უძველეს ნიმუშს ვხვდებით მიქელ მოდრეკელის მიერ 978 — 988 წლებში შედგენილ კრებულში, რომელშიც ზოგიერთ საკუთარ საგალობელს მივღმა კრიპტოგრაფიულად წააწერა თავისი სახელი.

საიდუმლო დაწერილობას საქართველოში XIX საუკუნე მეორე ნახევრამდე მამართავდნენ, თუკა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს უკვე მას იკენებდნენ ძალზე იშვიათად და ისიც უკრო გასართობად.

ქართული საიდუმლო დაწერილობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა ბერძნული კრიპტოგრაფია, მაგრამ, ამასთანავე, დროთა განმავლობაში ქართულმა საიდუმლო დაწერილობამ გამოიმუშავა ზოგიერთი საკუთარი, დამოუკიდებელი სისტემა. ქართული საიდუმლო დაწერილობა, მისი გამოყენების დღიდან დაწყებული, განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდიდა, ერთი სისტემა იცვლებოდა მეორით, პარალელურად ჩნდებოდა, კრამდენიმე სისტემა და ა. შ. ამრიგად, მრავლებოდა ქართული კრიპტოგრაფიული დაწერილობანი, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე მთლიანი სახით არ არის შენახული და, ნაწილობრივ, გამოვლინებული ძველ ქართულ ხელნაწერებში. მიუხედავად ამისა, გადარჩენილი კრიპტოგრაფიული დაწერილობანიც ნათლად მოწმობენ; რომ ძველად ქართველებს მრავალჯეროვანი საიდუმლო დაწერილობა ჰქონდათ. ამის დასამტკიცებლად იმის აღნიშვნაც კმარა, რომ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია ერთ-ერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა ოცი საიდუმლო ანბანი!

საიდუმლო ანბანს მამინ მამართავდნენ, როდესაც სურდათ ასეთი ანბანით ნაწერი ტექსტი გარეშე პირთათვის წაუკითხავად უგებარი ყოფილიყო. სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის, რომ სინას მთის ქართულ ხელნაწერს საიდუმლო ანბანით დაწერილი ტექსტის ქვემოთ გაკეთებული აქვს შემდეგი მინაწერი: „ნეტარას იტყვი ესე ზემო ასოები, არა ვიცი, თავი სით უც“.

საიდუმლო დაწერილობა ავტორთა თუ გადამწერთა შორის ზოგჯერ ატარებდა ისეთივე ხასიათს, როგორც აქამდე ლიტერატურაში გაერკვლებული ფსევდონიმები და ანონიმები. ქართულ ხელნაწერებზე მონუშავე პირები, რომელთაც თავდაბლობის, მოკრ-

ძალების ვამო არ სურდათ ყველასთვის ცნობილი გაეხადათ თავიანთი სახელი, არაიშკიათად, საიდუმლო დაწერილობის საშუალებით მალავდნენ ვინაობას. ხშირად წიგნის მფლობელი ან გადაწერილი ხელნაწერს ურთავდა საიდუმლო ანბანით შედგენილ სხვადასხვა საიის მიიწერებოდა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ერთ ხელნაწერში (A 1164, ფ. 1 v) მოცემულია საიდუმლო ასოებით ნაწერი „ამიციანა“. გამოცანის ამოხსნა მის წაკითხვაში მდგომარეობს. ამავე მუზეუმში დაცულ მეორე ხელნაწერში (H 1050), რომელიც წარმოადგენს გამოცანათა კრებულს და განეკუთვნება XIX საუკუნეს, გამოცანების ამოხსნა მიწერილია ციფრობრივი კრიპტოგრაფიით.

საიდუმლო ანბანით წერდნენ სამხედრო საიდუმლო შენიშვნებსაც. არცთუ იცნობდათ საიდუმლო ანბანს მიმართავდნენ პოლიტიკური შინაარსის მქონე წერილებისათვის. იყენებდნენ მას აგრეთვე დიპლომატიური მიმოწერის დროს. სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ საიდუმლო ანბანს თხზავდნენ მეფეები, მათი დიპლომატები და სამეფო კარზე ღყოფი მოხელენი. საიდუმლო ანბანი შეუთხზავთ: ფარსადან გორგიჯანიძეს, სულხან-საბა ორბელიანს, სეხნია ჩხეიძეს, არჩილ მეფეს, ვახტანგ VI, მუხრანელ ბატონებს და სხვ.

საიდუმლო დაწერილობათა ამოკითხვა ბევრ საინტერესოსა და ახალს გვაძლევს ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების გასარკვევად.

დღემდე შემონახული საიდუმლო დაწერილობის ნიმუშებითაც შესაძლებელი ხდება ზოგადად განვიხილოთ და შევისწავლოთ ამ დაწერილობის განსხვავებული სისტემები. სამწუხაროდ, ზოგიერთი სახის საიდუმლო დაწერილობის ტექსტი არ მოგვეპოვება, შემონახულია მხოლოდ ანბანი. რა თქმა უნდა, ეს გარემოება მეტად აძნელებს ამ ანბანის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანას.

ცნობილი და ამოხსნილი ქართული საიდუმლო დაწერილობანი გავრცელება-გამოყენების მიხედვით შეიძლება სამ მთავარ ჯგუფად დავეყოთ:

ა) ხალხში შედარებით უფრო გავრცელებული, საიდუმლო დაწერილობის ტრადიციული სისტემები, რომლებსაც უფრო ფართო გამოყენება ჰქონდათ. ამ ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, ანჩინური ანბანი და სათვალავადი კრიპტოგრაფია;

ბ) ხალხში ნაკლებად გავრცელებული, გარკვეული წრისათვის ან ჯგუფისათვის მოსახმარებელი. ამ ჯგუფს განეკუთვნება დიპლომატიური მიმოწერის დროს გამოყენებული ყველა ანბანი. რადგან დიპლომატიური საიდუმლო ანბანის ხმარება იყო სპეციალური,

ამიტომ მისი ცოდნა განისაზღვრებოდა მეფის, ელჩებისა და სა-  
ელჩოს წევრებით;

გ) საპირადო საიდუმლო დაწერილობა, ე. ი. გამოგონილი ცალ-  
კეულ პირთა მიერ საკუთარი ინტერესებისათვის და დაწერილო-  
ბაში არგავრცელებული. ამ ჯგუფს განეკუთვნება ვახტანგ VI-ისა  
და პარიზის ქართულ ხელნაწერში მოცემული ზოგიერთი ანბანი.

საიდუმლო დაწერილობის ყველა სახე და ფარვის, დამალ-  
ვის საშუალებებისა და ხერხების მიხედვით იყოფა  
სხვადასხვა სისტემად, მაგრამ ამ სისტემებს შორის გამოირჩეული  
არ არის კომბინაციები. ამგვარად, იქმნება ახალი შუალედური  
სისტემები, რის გამოც სინამდვილეში საიდუმლო დაწერილობის  
გაცილებით უფრო მეტი სახეები და ჯგუფები გვაქვს, ვიდრე ქვე-  
მოთ დასახელებული სისტემები.

ქართული საიდუმლო დაწერილობის ძირითადი სისტემებია:  
1. სხვადასხვა დაწერილობათა სისტემა; 2. შეცვლათა სისტემა;  
3. პირობითი ნიშნების სისტემა; 4. სათვალავადი სისტემა; 5. აკ-  
როსტიკის სისტემა; 6. ასოთა განლაგების სისტემა და 7. სიტყ-  
ვათა შემოკლების სისტემა. აქვე შევჩერდებით სხვადასხვა სის-  
ტემის რამდენიმე ნიმუშზე.

საქართველოში ძალზე გავრცელებული ჩანს პირობითი ნიშნე-  
ბის სისტემა. ასეთ დაწერილობაში ასოთა აღსანიშნავად იგონებენ  
განსაკუთრებულ მოხაზულობებს: ხან ცვლიან სხვა დაწერილობის  
ასოებს, ხან მთლიანად ხელახლა იგონებენ ასოთა მოხაზულობებს.  
პირობითი ნიშნების სისტემა სხვა სისტემებისაგან განსხვავდება,  
ერთი მხრით, თავისი სხვადასხვაგვარობით, ხოლო, მეორე მხრით—  
შედგენის დიდი ნებისმიერობით.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული პროზაუ-  
ლი „ბარამიანის“ ხელნაწერს მოეპოვება მინაწერი, რომელიც  
წარმოადგენს ნებისმიერი მოხაზულობის საიდუმლო ანბანს  
(იხ. სურ. 4).

მოყვანილი კრიპტოგრამა ასე იკითხება: „ესე ბარამიანი დავ-  
წერე მე კოლექსიკის სოვეტნიკის მდივნის ეგნატის ასულმა ანა-  
ნამა.“

ქ. ჩემო უსაყვარელესო და ულხენისა გულის ჩემის ლხენავ  
და სულსა შინა ჩემსა ოქროს მელნით აღბეჭდილო“ (S 1746,  
გვ. 70).

ამავე საიდუმლო ანბანით მამუკა ბარათაშვილის „ჯიმშედი-ანზე“ (S 390, გვ. 153) მიწერილია: „პეტრე ვინმე სანიადაგოდ ცრემლთა მფრქვეველი“.

ამავე საიდუმლო ანბანითაა ნაწერი აგრეთვე თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი „ვისრამიანის“ მინაწერებიც, სულ ათი სიტყვა. აღნიშნულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ქარვასლა“ (ფ. 12 r), „ფლური“ (ფ. 13 r), „საჩქმე“ (ფ. 41 r) და სხვ.

არანაკლებ გავრცელებული ყოფილა სათვალავადი სისტემა. ეს სისტემა დაფუძნებულია ქართული ანბანის ასოების რიცხობრივ მნიშვნელობაზე. სათვალავადი სისტემის საიდუმლო დაწერილობა თავის მხრივ იყოფა მარტივ და რთულ სხვადასხვა ძირითად სახედ და ჯგუფად.

აღნიშნულ სისტემას განეკუთვნება საიდუმლო ანბანისათვის არაბული რიცხვების გამოყენება. ცალკეული ასოს რიცხობრივი მნიშვნელობა გამოხატულია არაბულ რიცხვებზე წერტილების აღნიშვნით ისე, რომ უწერტილო რიცხვები (1—9) ერთეულების ასოებს აღნიშნავს, ერთწერტილიანი რიცხვები (1—9)—ათეულეებისას, ორწერტილიანი რიცხვები (1—9)—ასეულეებისას და სამწერტილიანი რიცხვები (1—9)—ათასეულეებისას. რადგან საიდუმლო დაწერილობის ამ სახეობაში ცალკეული ასოს რიცხობრივი მნიშვნელობა გამოიხატება წერტილებით, ამიტომ მას წერტილოვანი სისტემა ეწოდება.

წერტილები რიცხვებზე განლაგებული იყო ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად. შემდეგში წერტილების პარალელურად გამოყენებული იყო რიცხვებზე მძიმეების დასხმაც.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ „ყარამანიანზე“ (S 2391, ფ. 175 v) მიწერილია:

916141      6 1 1 6 7 2 1 7      14 1 3 1 7 6 1 1 7 6 1,

რაც შემდეგნაირად იკითხება: „თავადი ქაიხოსრო ამილანჯაროვი“.

საქართველოს ცენტრარქივში დაცულ „კონდაკში“ (№ 511, ფ. 35 r) მოყვანილია ერთი სიტყვა, ალბათ, ხელნაწერის მფლობე-

ლის სახელი— 3 1 1 1 2 1, ე. ი. ტარასი.

ქართულ კრიპტოგრაფიაში ვხვდებით აგრეთვე სხვა დაწერილობათა სისტემას. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი ქართული ანბანის მაგივრად გამოყენებულია სხვა დაწერილობის (მაგალ., ბერძნულის, ლათინურის, სლავურის და ა. შ.) ანბანი; ე. ი. ასოები არაქართულია, ხოლო ნაწერის ენა კი — ქართული. სპეციფიკური

ქართული ბგერებისათვის (ღ, ყ, წ, ჭ, ჯ და სხვ.) იხმარებოდა ან კრიპტოგრამაში გამოყენებული ენის ასოები, რომლებიც მიახლოებით გამოხატავდნენ საქირო ბგერებს, ან უცვლელად იყო დატოვებული ან ბგერების აღმნიშვნელი ქართული ასოები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ბერძნული ანბანის გამოყენებას ქართული საიდუმლო დაწერილობისათვის (იხ. სურ. 5).

მოყვანილი კრიპტოგრამა, რომელიც წარმოადგენს „ხელთას“ (Q 741, ფ. 42 v) ჩანაწერს, ასე იკითხება: „ერთი კაცი მკითხავს: ჩენი ეტლი რომელი არისო. თვითონ ამ კაცის სახელი და დედისის სახელი დასწერე, დახლდე, რეერთიც დაგჩეს, რეერთიც დარჩება, იმდონზე ხარ დაბადებული“.


საიდუმლო დაწერილობისათვის იყენებდნენ აგრეთვე ასოთა ან სიტყვათა უჩვეულო განლაგებას. ასეთ შემთხვევაში გვაქვს რამდენიმე სახე. აქ შედის შებრუნებული დაწერილობის ანუ უკუდაწერილობის სისტემა. ასეთი დაწერილობისას სიტყვები იწერება ასოთა რიგის შებრუნებით, ე. ი. ნაწერი იკითხება მარჯვიდან მარცხნივ, როგორც, მაგალითად, არაბულში, სპარსულში და სხვ. ეს სისტემა ქართულში შედარებით ნაკლებდაა გამოყენებული. ის გვხვდება, მაგალითად, ნუსხა-ხუცურით დაწერილ ხელნაწერში (Q 657, ფ. 379 v). ამ კრიპტოგრამაში წერია: „ა[მის]თვის გ[ე]ვედრები ო[კრფალ] ჩემო, კირი[ლ]ე, უცებად ჩბრეკისათვის წყევასა ზუვინ შეჰამთხვევთ ლ[ვთ]ის“...

უკუდაწერილობის სისტემით შესრულებულია აგრეთვე „ქილილა და დაჰანას“ (S 31) ზედა ყდის შიგნითა მხრის მინაწერები: „აიფოს ირასუგ“ და „ზოეთად“, რომლებიც ასე იკითხება: „გუსარი სოფია“ და „დათოზ“ (ალბათ, თადეოზ).


კრიპტოგრამის ამოკითხვა წარმოადგენს რთულ და ძნელ საქმეს, რისთვისაც საქიროა სათანადო ცოდნა და გაწაფულობა. მუზეუმის მუშაკს არ მოეთხოვება საიდუმლო ანბანით შესრულებული ტექსტის გაშიფრვა, მაგრამ ევალება ხელნაწერთა აღწერილობაში აუცილებლად მიუთითოს კრიპტოგრამებიან გვერდებზე.

ქართული კრიპტოგრაფია შესწავლის პროცესშია. ამ საკითხის შესახებ არსებობს მხოლოდ რამდენიმე წერილი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Н. Марр, Один вид грузинского криптографического письма, „Христианский Восток“, III, стр. 205 — 207; ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ., გვ. 131—136; ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, „საქ. მუზეუმის მოამბე“, ტ. I, 1921 წ., გვ. 63—68; მ. სიცივე, კრიპტოგრაფიული მასალები, „მომომხილველი“, ტ. I, 1926 წ., გვ. 220—243; გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობა, ე. „დროშა“, 1951 წ., № 3, გვ. 23; მ. სიცივე, ქართული კრიპტოგრაფია, ე. „დროშა“, 1953 წ., № 6, გვ. 20; მ. სიცივე, ურთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956 წ., № 95.



სურ. 4. საიდუმლო დაწერილობა.  
პირობითი ნიშნების სისტემა.



სურ. 5. საიდუმლო დაწერილობა.  
სხვა დაწერილობათა სისტემა.



ძველ ქართულ ხელნაწერებში ნახმარია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნიშნები. სტრიქონზედა გრაფიკულ გამოსახულებათაგან ყველაზე ხშირად გვხვდება ქარაგმა.

როგორც ქვემოთ გვექნება აღნიშნული, საწერ მასალად ძველად საგანგებოდ დამზადებული ტყავი — ეტრათი იხმარებოდა. ერთი მხრივ საწერი მასალის სიძვირის გამო და, მეორე მხრივ, სისწრაფის გულისთვის ადრევე შემუშავდა ცალკეული ასოების ან მთელი მარცვლების გამოტოვებით სიტყვების შემოკლებითი წერა. შემოკლებულ სიტყვას თავზე განსაკუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ. სიტყვის შემოკლების მაჩვენებელ ნიშანს ქარაგმა ანუ მაკრა ეწოდებოდა. ტერმინი „ქარაგმა“ პირველად მიქელ მოდრეკილის იადგარში გვხვდება.


სიტყვათა შემოკლებული წერა გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. უქარაგმოდ ნაწერი ძველი ქართული ტექსტი საერთოდ არ მოგვეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიქაელ მოდრეკილის ცნობილ იადგარს, რომელიც X — XI ს-ისა უნდა იყოს. დასახელებულ კრებულში უქარაგმოდ ნაწერია საკმაოდ ვრცელი ნაწილი. ამ ტექსტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქარაგმის საკითხის შესასწავლად იველ ქართულ წყაროებაში.

დაქარაგმების წესი და ქარაგმის სახეები ჯერ კიდევ საბოლოოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა.

ქართულ დაწერილობაში ქარაგმა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. უძველეს ხელნაწერებში ქარაგმად ნახმარია განივი ხაზი, რომელსაც დასაწყისში ზემოთკენ, ხოლო ბოლოში ქვემოთკენ მიმართული კალმის მსხვილი დანაპირები აქვს (სურ. 6, ა). ასეთი ქარაგმები გვხვდება ხანმეტ ტექსტებიან ხელნაწერებში. ჩვეულებრივ შემდგომი ასე იწერებოდა ქარაგმა, მაგრამ ზოგჯერ ხაზი ვახრილიც იყო ხოლმე (სურ. 6, ბ). მაგალითად, XIII საუკუნის დამდეგის ვანის ოთხთავში გვხვდება აღნიშნული სახის ქარაგმა.

მდივანაწიგნობრულ დაწერილობაში ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სხვადასხვა ზონის სწორი განივი ხაზი (სურ. 6, გ). ასეთი ქარაგმის ნიშანი გამოყენებული, მაგალითად, ბაგრატ IV-ის 1058 წლის შეწირულების წიგნში, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში და სხვ. ოდნავი შევილილი სახის ქარაგმაა ნახმარი დავით მეფის XII ს-ის მიწურულის წყალობის წიგნში (სურ. 6, დ).

XV საუკუნიდან დაწყებული მხედრული დაწერილობის ძეგლებში ქარაგმა გაკრული ონივით იწერება (სურ. 6, ე). ასეთი ქარაგმები დაწერილია არისტოტელეს 1738 წ. ათ კატეგორიაში, სულხან-საბა ორბელიანის 1756 წ. ლექსიკონში, 1762 წლის აპოფთეგმატაში და ა. შ. შემობრუნებული ა-ის მსგავსი ქარაგმა ნახმარი 1468 წლის მალის ამოკვეთის სიგელში (სურ. 6, ე').



სურ. 6. ქარაგმის სახეები.

ჩვენში ცნობილი იყო დაქარაგმების რამდენიმე სახეობა, რომლებიც ძირითადად ასე წარმოგვიდგება:

1. მხოლოასოიანი დაქარაგმება. ასეთი დაქარაგმების დროს სიტყვა წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისის ასოთი, მაგალ.: ო' (= უფალო), რ' (= რამეთუ), ჩ' (= ჩუენისა), წ' (= წილკნელი), ხ' (= ხოლო) და მისთ. ამავე სახეობას ეკუთვნის თანდებულის ან ბრუნვის ნიშნის წარმოდგენა მხოლოდ დასაწყისის ასოთი: შ'ნგ' (= შენგან), შ'ნისამ' (= შენისამან).

2. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება. ასეთი დაქარაგმების შემთხვევაში სიტყვის პირველსა და ბოლო ასოს ან ასოებს წერდნენ, შუა ნაწილის ასოებს კი გამოტოვებდნენ, მაგალ.: ქ'ე (= ქრისტე), შ'ე (= შეიწყალე), გ'ი (= გუერდი; გიორგი), აკ'ხა (= აკურთხა), გე'ბი (= გევედრები). ზოგჯერ წერდნენ აგრეთვე სიტყვის შუანაწილის ერთ-ერთ თანხმოვანსაც: ეი'ქლ (= მიქაელ), ბ'რტი (= ბოროტი), თგ'ნი (= თარგმანი) და ა. შ.

3. ბოლოშეკვეცილობითი დაქარაგმება. ასეთი დაქარაგმების წერისას სიტყვის მხოლოდ დასაწყის ნაწილს წერდნენ და სიტყვის მეორე ნაწილს კი დაუწერელს ტოვებდნენ. ასე, მაგალითად: აღვა (= აღვასრულეთ), იგი (= იგივე), იო (= იოვანე), მკ (= მკუდრეთით), მოძლ (= მოძულენი), მნობ (= მნობელისა), პირ (= პირველვე), სკ (= საკვრველი), წყალო (= წყალობასა) და მისთ.

4. უხმოვნო დაქარაგმება. ასეთი დაქარაგმების დროს სიტყვის მხოლოდ თანხმოვნები იწერება. ასეთებია: თედმზ (= თავდამან), მვსკთ (= მივსკეთ), მძღერმზ (= მძღაერმან), სზბლდ (= საშუებელად) და სხვ. უხმოვნო დაქარაგმების შემთხვევებში გამონაკლისის სახით ხმოვნები გვხვდება მხოლოდ სიტყვის თავში ან ბოლოში და ისიც ისეთ შემთხვევებში, როცა სიტყვა ხმოვნით იწყება ან მთავრდება, მაგალ.: იტყდს (= იტყოდეს), სყრლი (= სიყუარული), უკთრნი (= უკეთურნი).

დაქარაგმების ზემოაღნიშნულ სახეობათა გარდა, რასაკვირველია, ცნობილი იყო სხვა სახეობის ქარაგმიანი წერაც. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვადასხვანაირად იწერებოდა ხოლმე. ასე, მაგალითად: თრგმნი, თრგნი (= თარგმანი); კლ, კლად, კლდ (= კულად); იწ, იწნე, იწო, იოწნე (= იოვანე) და ა. შ.

ქარაგმიანი სიტყვების გახსნის ნიმუშების ნახვა შეიძლება პროფ. ილ. აბულაძის მიერ შედგენილ პალეოგრაფიულ ალბომში.

სტრიქონზედა ნიშნებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მახვილის ნიშანი, რომელიც ასოს თავზეა ხოლმე დასმული. ასე, მაგალითად, იოანე პეტრიწის თარგმნილ პროკლე დიადოხოსის „კავშირნის“ XII—XIII სს. ხელნაწერში (H 1337) გვხვდება მახვილის აღმნიშვნელი, დღევანდელი მძიმის (,) მსგავსი, ნიშანი. მახვილი უზის ზოგიერთ სიტყვას XII საუკ. გელათის ხელნაწერში დაა. შ.

XVIII საუკუნეში შემოღებული იქნა უმარცვლო შ-ნის განმასხვავებელი ნიშანი. უმარცვლო უნს თავზე დაუსვეს ნიშანი A და მივიღეთ ჭ, რომელსაც უბრჯგუ ეწოდება. უბრჯგუიანი ხელნაწერები უამრავია ჩვენს მუზეუმებში.

ნაწერის უცდომლად წასაკითხავად გამოყენებული იყო საგანგებო საინტონაციო, ხმის ასაწევ-დასაწევი, ხიშნები. ამ ნიშნებით მკითხველი იგებდა, სად როგორი ხმის მოქცევით წაეკითხა დაწერილი ტექსტი. ამ ნიშნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საგალობლების კითხვის დროს.

ფორემ მცირემ შემოიღო „ვმის საქციევი“ საგანგებო ნიშანი ექვსწერტილი, რომელიც მკითხველს ანიშნებდა, რომ სადაც ეს „ექვსწერტილი“ წერია, იქიდან უნდა „ვმა იქციოს მკითხველმან“.

საინტონაციო ნიშნები მოცემული აქვს სულხან-საბა ორბელიანსაც. ის იძლევა ნიშანს / და აღნიშნავს, რომ ამას ეწოდება ოქსია ანუ მახვილი და სადაც ეს სიტყვაზე აკვრით არის და-

წერილი, იქ ხმის ამალღება უნდა. მასვე მოცემული აქვს მეორე-  
ნაირი ნიშანიც ႁ, რომელსაც ვარი ანუ მძიმე ეწოდება, და  
სადაც ეს სიტყვას ქვემოდან აქვს მიწერილი, იქ ხმის დადაბლე-  
ბაა საჭირო. საბა იძღვეა სხვაგვარ ნიშანსაც V, რომელსაც და-  
ნია ეწოდება და ნელა წასაკითხავს აღნიშნავს.

XIII საუკ. საეკლესიო ტიბიკონის (H 1349) „მოსახსენებელთა“  
და „შეჩვენებათა“ ტექსტში სინგურით აღნიშნულია ხმის ამაღ-  
ლება-დადაბლების ნიშნები.

ანტონ I-ისა და მისი სკოლის მიმდევართა ნაწერებში გვხვდება  
საგანგებო სტრიქონქვედა ნიშანი —, რომელიც ორი და სამი სი-  
ტყვის ქვემოთ არის ხოლმე მიწერილი. ამ შემაერთებელი ნიშნით  
აღნიშნული სიტყვები კითხვის დროს ერთად უნდა წარმოითქვას.  
სულხან-საბა ორბელიანი შენიშნავს: „ესე — ორთა სიტყუა ერ-  
თად შეკვრით თქუან, ნუ გააცალკერძობენ“-ო. აღნიშნული ნი-  
შანია ნახმარი, მაგალითად, გიორგი ავალიშვილის გადაწერილ  
კრებულში (S 303).

\* \* \*

ხანმეტი ტექსტებიდან ჩანს, რომ განკვეთილობისა და სასვენ-  
ნიშნები საქართველოში ძველთაგანვე სკოდნიათ. თავდაპირველად  
„სასუნენად“ და „განსაკუთებლად სიტყვსა“ მიღებული იყო  
ორი ან სამი წერტილი, თუმცა ყოველთვის არ ხერხდება მათი  
განლაგების რაიმე კანონზომიერების დადგენა. უმეტესად ეს  
ნიშნები იხმარებოდა ნებისმიერად, ზოგჯერ ყოველი სიტყვის შემ-  
დგავც კი. ე. ი. ახდენდნენ მხოლოდ სიტყვათა მექანიკურ გან-  
ცალკევებას მათი წაკითხვის გასაადვილებლად. მხედველობაში არ  
აქვს მიღებული სიტყვათა და წინადადებათა სინტაქსურ-ლოგიკური  
კავშირი. ლიტურგიკულსა და, საერთოდ, რელიგიური ხასიათის  
ძეგლებში მათი განლაგება ხდებოდა, როგორც ჩანს, იქ, სადაც  
ხდებოდა მეტყველების შეჩერება კითხვის დროს.

წერტილების ხმარების წესი უფრო ხშირად დაცული იყო  
რიცხვების გამომხატველ ასოებთან. ამ ასოების ორივე მხარეს  
თითქმის ყოველთვის იწერებოდა წერტილები. მაგალითად, სინას  
მთის 864 წლის მრავალთავის ანდერძში თარიღი ასეა აღნიშნული:  
„დასაბამითგან წელთა : . ხ : . ყ : . ძ : . ც : . ქრონიკონი იყო  
კ : . დ : . “.

განკვეთილობისა და სასვენნი ნიშნების სისტემის შემუშავებაში  
გარკვეული დამსახურება მიუძღვით გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ  
მცირესა და ანტონ კათალიკოზს. ასე, მაგალითად, ეფრემ მცირემ

იხმარა შემდეგი ნიშნები: „ერთწერტილი უკუე—მცირედ სასუნად, ორწერტილი — გასაკუთელად სიტყვსაჲ და სამწერტილი — დიდად სასუნად, ექუსწერტილი — სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვსა“<sup>1</sup>.

სასვენი ნიშნების თაობაზე ანტონ. კათალიკოზის გრამატიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „სულსკუეთისა მიერ განჩეულნი სიტყუანი არასრულად და დასასრულად დანიშუნიან წერილთა შინა რომელთამე ღრამთა მიერ. დანიშვნა არასრულისა სიტყვსა იქნების წერილთა შინა ღრამით ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკვე ზედწოდებული ვარია, ხოლო ჩვენებრ მძიმე. დანიშვნა სრულისა იქნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (.) და ამას უკვე ზედწოდებულ სტილმა, ხოლო ჩვენებრ წერტილი. ხოლო დანიშვნა დასასრულ სიტყვსა იქნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (:) და ამას უკვე ზედწოდებულ ჩვენებრ ორი წერტილი“<sup>2</sup>.

სასვენი ნიშნებიდან ყველაზე ძველია წერტილი, რომელიც გამოიხატებოდა სხვადასხვანაირად.

\* \* \*

მუზეუმის მუშაკი ხელნაწერებში შეხედება ბევრნაირ პირობით ნიშანს, რომლებიც იხმარებოდა სხვადასხვა ცნების თუ საგნის მოკლედ გამოსახატავად. ასე, მაგალითად, თხზულების დასაწყისის აღსანიშნავად, საზოგადოდ, გამოყენებული იყო ქანწილი ანუ წილქანი, რომელიც წარმოადგენდა ხუცური ასომთავრული შ და ფ ასოების შენაერთის მონოგრამას, ხოლო დასასრულის აღსანიშნავად ზოგჯერ გამოყენებული იყო ჯვარი.

X საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს თავის კალენდარში საგანგებო ნიშნებით აღუნიშნავს ეკლესიის დღესასწაულები. XVII საუკ. ეამგულანში მოიპოვება ნოლის მსგავსი პირობითი ნიშანი, რომელსაც ჩიტის თვალი ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერებში მნათობთა, ხეთა, ბალახთა, ფრინველთა, თევზთა, მწერთა, მძრომთა და სხვ. აღსანიშნავად გვხვდება სხვადასხვა სახის პირობითი ნიშნები.

მთელ რიგ ხელნაწერებში სხვადასხვა სახის პირობითი ნიშნით აღნიშნულია, რომ მითითებულ ადგილას საჭიროა ჩაერთოს და-

<sup>1</sup> თ. ყორღანი, ქრონიკები, I, გვ. 218.

<sup>2</sup> ანტონ I, ქართული ღრამატიკა, 1885 წ., გვ. 293.

მატებითი ფრაზები, მოთავსებული ანალოგიური ნიშნით ხელნაწერის კიდევ ან იქვე ჩაწებებულ ქალაღდზე. მაგალითად, ფალანდიშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ამბროსი ნეკრესელს შეუტანია რედაქციული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც თავისი მოცულობით კიდევზე ვეღარ დაუტევია და ცალკე ფურცლებზე მოუთავსებია, ხოლო ეს ჩანამატიანი ფურცლები კი სათანადო ადგილის მიმთითებელი ნიშნების აღნიშვნით ხელნაწერში ჩაუწებებია.

\* \* \*

საგანგებო ნიშნები იხმარებოდა აგრეთვე მუსიკის ჰანგების ჩასაწერად. ეს სამუსიკო (ნეემატური) ნიშნები განკუთვნილი იყო როგორც გალობის, ისე საკრავიერი მუსიკისათვის. ჰანგის გამომხატველ ნოტებს ძველად ნიშანი, ხოლო შემდეგ, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ზოგიერთ მოგვიანებით გადაწერილ ნუსხაშია აღნიშნული უცნობი ინტერპოლატორის მიერ, ნოტი ერქვა.

ცნობილია სხვადასხვა სისტემისა და სახეობის ნეემატური ნიშნები. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ძველ საქართველოში იხმარებოდა სამუსიკო ნიშნების სამი ჯგუფი, სამი სახეობა. პირველი ჯგუფი მიეკუთვნება X საუკუნეს, მეორე ჯგუფი — XVIII საუკუნეს, ხოლო მესამე ჯგუფი — XIX საუკუნის დასაწყისს.

ეს სამუსიკო ნიშნები განსაკუთრებული მოხაზულობის იყო და ადგილმდებარეობისდა მიხედვით სხვადასხვაგვარად იწერებოდა. ცალკეულ შემთხვევებში სამუსიკო ნიშნები გამოიხატებოდა სხვადასხვა რაოდენობის წერტილების განლაგებით, ციფრების დასხმით და სპეციალური სახისა და მოყვანილობის ხაზების აღნიშვნით. ამ ნეემების დაწერა ყველას არ შეეძლო. საკირო იყო შესაფერისი ცოდნა. ამიტომ ნეემების დასაწერად საგანგებო დამწერი ყოფილან, რომლებსაც მნიშვნელი ეწოდებოდათ.

მიქელ მოდრეკილის X საუკ. იადგარში (საგალობელთა კრებულში) საგალობლებს სტრიქონებს ზემოთ და ქვემოთ წითურით მიწერილი აქვს სამუსიკო ნიშნები. ეს კრებული წარმოადგენს უძველესი ქართული სანოტე ნიშნების შემცველ ძვირფას ძეგლს.

სანოტენიშნებიანი უძველესი ძეგლებია აგრეთვე X საუკ. ძლისპირთა კრებული (A 603) და ამავე საუკუნეში გადაწერილი იადგარას ფრაგმენტი (A 190).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ რიგ საგალობლებს სანოტე ნიშნებთან ერთად გააჩნია მუსიკალური პუნქტუაცია — გალობის დროს შესაჩერებელი ნიშნები. XI საუკ. „სადღესასწაულოში“ (A 596), რომელშიც სანოტე ნიშნები განლაგებულია ასოთა ზემოთ და ქვემოთ, სტრიქონებში სიტყვათა შორის დასხმულია წითელი წერტილებიც, რომლებიც, ალბათ, გალობის შეჩერებას აღნიშნავს. მუსიკალური პუნქტუაცია მოცემულია ზემოდანსახელებულ X საუკ. იადგარის ფრაგმენტსა და 1233 წ. გადაწერილ საგალობელთა კრებულშიც (A 85).

ქართული სამუსიკო ნიშნები ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. მის შესახებ არსებობს სულ რამდენიმე შრომა. ამ საკითხით დაინტერესებულა ჯერ კიდევ იოანე ბაგრატიონი, რომელსაც დაუწერია მუსიკის მოკლე სახელმძღვანელო (H 2241), შემდეგ ქართული სანოტე დაწერილობა შეისწავლეს ფ. ქორიძემ<sup>1</sup>, აკად. ი. ჯავახიშვილმა, ფრანგმა მეცნიერმა თიბომ<sup>2</sup>, პროფ. შ. ასლანიშვილმა, მეკლევარმა პ. ინგოროყვამ<sup>3</sup> და მუსიკათმცოდნემ ო. ჩიჯავაძემ<sup>4</sup>.

\* \* \*

რიცხვების გამოსახატავად ძველთაგანვე გამოყენებული იყო ქართული ანბანის ასოები. რიცხვების გამოხატვა ასოების საშუალებით დადასტურებულია ჯერ კიდევ ხანმეტ ტექსტებში. მართალია, X საუკუნის დამდეგიდან საქართველოში არაბულ ციფრებს იცნობდნენ<sup>5</sup>, მაგრამ XVIII საუკ. დამლევამდე, თვით XIX საუკ. დამდეგსაც კი რიცხვების გამოსახატავად უმთავრესად ასოებს ხმარობდნენ. ამიტომ ქართულ ხელნაწერებზე მომუშავემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა.

ასოებით რიცხვების გამოხატვის სისტემა განსხვავდება ციფრებით გამოხატვის სისტემისაგან და შემდეგში მდგომარეობს: ანბანის 36 ასოთაგან პირველი ცხრა ერთეულებს აღნიშნავს, მეორე ცხრა — ათეულებს, მესამე — ასეულებს და მეოთხე — ათასეულებს. სახელდობრ: ა იყო ერთი, ბ ორი, გ სამი და ა. შ.; ი ათი, კ

<sup>1</sup> მეთე საუკუნის საგალობელი ნიშნები, „ივერია“, 1891, № 149.

<sup>2</sup> Аблин J. Т h i b a u t, Нотные знаки в грузинских рукописях, „Христианский Восток“, т. III, вып. II, 1914, стр. 207 — 212.

<sup>3</sup> ძველი ქართული მუსიკის ამოხსნა, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 2—3, გვ. 33—36; შდრ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 50.

<sup>4</sup> ქართული სამუსიკო ნიშნები, „თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მესამე საშეცნიერო კონფერენციის შრომები“, წ. IV, 1950, გვ. 29—37.

<sup>5</sup> მტხეთის დავითნში (A 38, ფ. 246 v), რომელიც პროფ. კ. კეკელიძის გამოანგარიშებით 904 წელსაა გადაწერილი, გვხვდება სინგურით ნაწერი არაბული ციფრები. ეს ციფრები განლაგებულია მარჯვიდან მარცხნივ.

ოცი, ლ ოცდაათი და ა. შ.; რ ასი, ს ორასი, ტ სამასი და ა. შ.; ჩ ათასი, ც ორი ათასი, ძ სამი ათასი და ა. შ. ბოლოს დარჩენილი ზ კი ათი ათასს აღნიშნავდა. ამრიგად, ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა შემდეგი სახის ცხრილით გამოიხატება:

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
ათეულები	ი	კ	ლ	მ	ნ	ძ	ჩ	ც	ძ
ასეულები	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ხ	ხ	ჯ	ჟ	ჰ
ბევრეული	ჭ								

ასოებით რიცხვების გამოსახატავად ასე იქცეოდნენ: ჯერ წერდნენ რიცხვის უმაღლესი რიგის მაჩვენებელ ასოს და შემდეგ წერდნენ ქვემო რიგის ასოს ან ასოებს. მაგალ., მიმდინარე წლის რიცხვს „1957“-ს ასოებით ასე გამოხატავდნენ: „ჩ<sup>1</sup>შ<sup>9</sup>წ<sup>5</sup>წ<sup>7</sup>“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ო-ს მაგივრად ჰ-აეა ნახმარი. ასეთ შემთხვევებში ჰ მ-ს უდრის, ხოლო ო 8.000 აღნიშნავს.

მრგლოვანი ხელით ან ნუსხურად დაწერილ ძეგლებში ოთხასი ჰ-ია აღნიშნული, მხედრულ დაწერილობაში კი უ-თი, რადგან უ თავდაპირველ ანბანს არ ჰქონდა. ის შემდეგ წარმოიშვა ორი ასოს შეერთებისგან და კ ნიშნის ადგილი დაიკავა ტარის შემდეგ. ამიტომ უნი რიცხობრივად იმასვე აღნიშნავდა, რასაც ჰ. ე. ი. ოთხასს.

რიცხვის გამომხატველ ასოს ქარაგმა ჰქონდა თავზე.





## დანიარქონის მასალა და იარაღები

საქართველოში სხვადასხვა დროს საწერ მასალად სხვადასხვა მასალა იყო გამოყენებული. X — XII საუკ. საქართველოში საწერი მასალის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ქარტა იხმარებოდა.

ძველი ქართული ხელნაწერები უმეტესად დაწერილია ტყავზე (პერგამენტზე). წერისათვის საგანგებოდ შემზადებულ ტყავს ქართულად ეტრათი ერქვა. საწერ ეტრათს ცხვრის, კრავის, თხისა და ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ, რასაც „შექმნაჲ ეტრათისაჲ“ ეწოდებოდა. მოღწეული ხელნაწერებიდან ჩახს, რომ საქართველოში ძველად ჩინებულ ეტრათს ამზადებდნენ. ქართული ეტრათი მკვრივი და ყვითელი ან კიდევ თხელი და თეთრი იყო. თავისი მოქნილობითა და სითეთრით იგი უმაღლესი ხარისხის ქალღმრთისგან ძნელი გამოსარჩევია.

ხელნაწერი წიგნის შემზადებისათვის საჭირო იყო ეტრათის ფურცლების დიდი რაოდენობა. ასე, მაგალითად, ზოგჯერ ერთი წიგნისათვის ასზე მეტი ცხვრის ტყავი იყო საჭირო, ხოლო ისეთი დიდტანიანი ხელნაწერებისათვის, როგორიცაა ბიბლია, სვინაქსარი, მრავალთავი და სხვ., თითქმის მთელი ჯოგის ან ფარის ტყავი იყო საჭირო. ამიტომ, ბუნებრივია, ეტრათი ძვირად ფასობდა.

ერთი მხრივ, ეტრათის სიძვირე და მისი გამძლეობა-სიმაგრე, მეორე მხრივ, დაწერილი მასალის მოძველება იდეოლოგიური და სხვა რაიმე თვალსაზრისით, ძველი ეტრათის ხელახალი გამოყენების მიზეზი გახდა. სხვადასხვა გარემოებით უფარვისსა და მიუღებელ ტექსტებს ეტრათიდან გადაფხეკ-გადარეცხდნენ ხოლმე, ხოლო მოსუფთავებულ ეტრათზე, ხშირად ძველი ნაწერის ვერტიკალურად, ახალ, საჭირო ტექსტს დაწერდნენ. ეტრათის ისეთ ფურცელს, რომელიც საწერად მეორეჯერ არის გამოყენებული, პალიმფსესტი ეწოდება<sup>1</sup>.

პალიმფსესტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის განვითარების შესასწავლად და შორეული წარსულის ამბების გა-

<sup>1</sup> ნიშნები იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, პალეოგრაფიული აღბომი, ტაბ. 4.

სათვალისწინებლად. ყოველივე ამის გამო დიდ ინტერესს იწვევს პალიმფსესტების ამოკითხვა. ჩვენამდე მოაღწია პალიმფსესტების საკმაოდ დიდმა რიცხვმა. მართო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული პალიმფსესტების საერთო რაოდენობა ათეულ ათას ფურცელს აღემატება.

მეცნიერებაში ცნობილია პალიმფსესტების ამოკითხვის სხვადასხვა მეთოდი. უკანასკნელ დრომდე ამისათვის გამოყენებული იყო ქიმიური რეაქტივებიც. ქიმიური ნივთიერება ტექსტს მცირე ხნით ამჟღავნებდა. ამიტომ გამჟღავნებულ ტექსტს მაშინვე ფოტოაპარატით გადაიღებდნენ და ქიმიურ ნივთიერებას დაუყოვნებლივ ჩამორეცხდნენ. ასეთ პროცესებს ხელნაწერი ხშირად დაღუპვამდე მიჰქავდა. ამჟამად ახდენენ პალიმფსესტების ფოტოგრაფირებას ყოველგვარი ქიმიური ნივთიერების გარეშე. ფოტოგრაფირების ამ უნებელი მეთოდის გამოყენებისას ხელნაწერი დაზღვეულია მოსალოდნელი სამუდამო დაღუპვისაგან.

XI საუკუნიდან საქართველოში ეტრატის ადგილს თანდათან ქალაქი იკერს. ქალაქი ეტრატს მეტოქეობას უწევდა თავისი სიიაფით, მაგრამ მას ჩამოუვარდებოდა გამძლეობის მხრივ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექსტებისათვის შემდეგშიც, მეთვრამეტე საუკუნემდე, საწერ მასალად ეტრატი იხმარებოდა.

საქართველოში გამოყენებული იყო როგორც უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი, ისე საკუთარი, ადგილობრივი წარმოების ქალაქი. თავისი თვისებებით ქართული ქალაქი სხვა ქვეყნების საუკეთესო ქალაქს არ ჩამოუვარდებოდა.

ქალაქზე ნაწერი პირველი დათარიღებული ძეგლია „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაისი“ (A 65), რომელიც 1188 წ. არის გადაწერილი. აღნიშნული ძეგლი გამოსცა პროფ. ა. შანიძემ 1924 წელს.

ძველად ქალაქს ჰქონდა გამჟვირვალე საქარხნო ნიშნები, რომელთა მიხედვითაც განასხვავებდნენ ქალაქის ხარისხსა და ზომას (ფორმატს). გარდა ამისა, ეს ნიშნები წარმოადგენდა ოსტატის მუშაობის შესამოწმებელ საშუალებას. ამ გამჟვირვალე საქარხნო ნიშანს, რომელიც მოჩანს ქალაქში სინათლეზე გახედვისას კვირნიშანი (ფილიგრანი) ეწოდება.

ქალაქზე კვირნიშნის არსებობა მეკლევარისათვის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საშუალებას ხელნაწერთა ქალაქის

ზომის გამოსარკვევად და უთარილო წერილობითი ძეგლების დასათარილებლად.

როგორც ვიცით, ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ქალაქის ზომით (ფორმატით). შეყვანილებულ ხელნაწერთა ზომა უნდა დადგინდეს ჭვირნიშანთა ადგილმდებარეობის მიხედვით. ორადგაქეცილი ქალაქის ფურცელზე ჭვირნიშანი მოთავსებულია პირველი გვერდის შუა ადგილას. მეორე გვერდზე კი ზოგჯერ მოთავსებული იყო უფრო მომცრო ზომის ჭვირნიშანი (კონტრამარკა). თუ ხელნაწერი შეყვანილებულია ცალკეულ, ორადგაქეცილ ფურცლებად, მაშინ; ბუნებრივია, ძირითადი ჭვირნიშანი აღმოჩნდება ყოველ მეორე ფურცელზე. თუ ორადგაქეცილი ფურცლები ერთმანეთში ჩაიწყობოდა და გაქეთდებოდა რამდენიმე რვეულისაგან შემდგარი წიგნი, მაშინ ჭვირნიშანი მეორედებოდა რამდენიმე ფურცელზე ზედიზედ, შემდეგ კი მოყვებოდა ამავე რაოდენობის უჭვირნიშნო ფურცლები და ა. შ., მონაცვლეობით. ხელნაწერს, დაწერილ გაშლილ ქალაქზე, ჭვირნიშანი აქვს ყოველი ფურცლის ზემო ან ქვემო ნახევარზე, შუაში; გარდა ამისა, მას ემჩნევა განივად ნაკეცის კვალიც. ოთხადგაქეცილ ხელნაწერში ახალი (მეორეული) ნაკეცი გაივლის ჭვირნიშანზე, რომელიც მოთავსებულია ყუასთან შუა გვერდზე განახევრებული სახით, მაგრამ ხელნაწერის არა ყოველ ფურცელზე. რვადგაქეცილ ხელნაწერში ჭვირნიშანი მოთავსდება ყუასთან ზემოთ ან ქვემოთ მეოთხედის სახით და ა. შ.

როცა ხელნაწერთა აღწერილობებში გვხვდება მითითება ფორმატზე in folio (ზომა ხელნაწერისა ქალაქის  $\frac{1}{2}$ -ში), in quarto (ზომა ხელნაწერისა ქალაქის  $\frac{1}{4}$ -ში), in octavo (ზომა ხელნაწერისა ქალაქის  $\frac{1}{8}$ -ში) და სხვ., არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია ფურცლის რაიმე სტანდარტულ, საერთოდმილებულ ზომაზე, არამედ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ დაახლოებით ვუფარდებთ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ქალაქის ზომას თანამედროვე საწერი თაბახის ან მისი ჯერადი განაყოფის ზომას.

ხელნაწერის ფორმატის წარმოსადგენად საჭიროა ვიცოდეთ სტრიქონთა რაოდენობა ფურცელზე და ასოთა ზომა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც ძეგლის დედანი დაკარგულია, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ მისი ნუსხა (ასლი), ამასთან ამ ნუსხის კითხვისას საეჭვო ხდება, რომ დედანში ფურცლები არეული იყო და გადამწერმა, რომელიც ვერ გაერკვა შინაარსში, ტექსტი ისევე უწესრიგოდ, შექანიკურად გადმოწერა: აი ამიტომ, რათა აღვადგინოთ პირვანდელი წაკითხვა

და დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენ მიერ ნავარაუდები თანამიმდევრობა ტექსტისა ნამდვილად შეესატყვისება იმას, რაც უნდა ყოფილიყო დედანში, აუცილებელია გამოვიყენოთ და შევისწავლოთ ხელნაწერის ფორმატი (სტრიქონთა რაოდენობა გვერდში, სტრიქონთა განლაგება ერთ ან ორ სვეტად და ა. შ.).

ქალაქის კვირნიშანი უცვლელი არ რჩებოდა თავისი გამოსახულების მიხედვით. მათი გარეგანი სახე სისტემატურად იცვლებოდა სხვადასხვანაირად. სწორედ ამ სახეცვლელი კვირნიშნებით შესაძლებელი ხდება დროის მცირე მონაკვეთში ზუსტად დავათარილოთ ქალაქი და გამოვარკვიოთ მისი სადაურობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბომბიციინის ქალაქისათვის დამახასიათებელია სურათიანი კვირნიშნის უქონლობა.

კვირნიშნის სხვადასხვაგვარი გამოსახულების გარდა, ხელნაწერთა დათარიღებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის ჰორიზონტალური („ვერჟერები“) და ვერტიკალური („პონტიუზო“) ხაზების განლაგებაზე დაკვირვება. ასე, მაგალითად, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების ერთმანეთთან მიახლოება-დაცილების საზღვრები.

თავკაზმულობა (თავსამკაული) მოთავსებულია გვერდის სიგანეზე სტატიის, თავისა და, საერთოდ, წიგნის რომელიმე დიდი ნაწილის დასაწყისის წინ. თავკაზმულობად გამოყენებულია განსაკუთრებული ნაყუმები და ხშირად მცირე ზომის ჩანახატები. ქართულ ხელნაწერებში გვხვდება დიდი მხატვრული ოსტატობით შესრულებული და მეტად ორიგინალური თავკაზმულობები. მაგალ., XII საუკ. ჯრუჟის ოთხთავში (H 1667) ყველა საკითხავი იწყება კვადრატული მოყვანილობის თავკაზმულობით, რომელსაც თავისი იშვიათი შემკულობით თითქმის მთელი გვერდი უჭირავს. X — XI საუკ. დამდეგს გადაწერილ „მამათა ცხოვრების“ ხელნაწერს (A 397) გააჩნია მწვანე და წითელი ფერით მოხატული თავსამკა-


ულები. XV საუკუნის „ზატიკი“ (S 4814) შემკულია ფერადებით შესრულებული თავკაზმულობით.

საზედაო ასოები (ინიციალები) იწერებოდა ტექსტის დასაწყისის სიტყვების პირველ ასოებად, ე. ი. საზედაო ასოებით ტექსტი იწყებოდა. ხელნაწერებში გვხვდება გრაფიკულად შესრულებული, ოქრომელნით ნაწერი და მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები. ასე, მაგალითად, 973 წ. გადაწერილ პარხლის ოთხთავში (A 1453) და XI საუკ. დასაწყისში დაწერილ გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლანი და სიტყვანში (A 92) მოცემულია გრაფიკულად შესრულებული საზედაო ასოები. X — XI საუკ. ხელნაწერ კრებულში (A 40), XIII საუკ. ლარგვისის ოთხთავში (A 26) და 1495 წ. გადაწერილ „დავითნში“ (A 35) საზედაო ასოები დაწერილია ოქრომელნით. 1052 წ. დაწერილი ოთხთავი (S 962) და XIII საუკ. ხელნაწერი (A 226) შემკულია ფერადებით მოხატული საზედაო ასოებით. დიდი რაოდენობითაა მცენარეული ჩუქურთმებითა და ცხოველების გამოსახულებებით შემკული საზედაო ასოები მოქვის ოთხთავში (Q 902). იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებისა (A 365), რომელიც გადაწერილია XII საუკუნეში, შემკულია ორიგინალური საზედაო ასოებით. განსაკუთრებით საყურადღებოა მთელი გვერდის სიგრძეზე მცენარეთა წნულით გამოცემული საზედაო ასო: ხელის, ნადირის თავისა, ურჩხულისა და ფრინველის გამოსახულებებით. სხვა საზედაო ასოები შესრულებულია გრაფიკულად, წითელი და შავი პუნქტირით.

ქართულ ხელნაწერებში მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოების თვალსაჩინოდ დიდი რაოდენობა, ასოთა მოხაზულობის მრავალსახეობა და მათ შესამკობანდ გამოყენებული ფერების სიმრავლე და სინაზე ახლაც ანციფერებს მნახველს.

არშიის (კიდის) მოკაზმულობანი მოთავსებულია ხელნაწერის კიდევებზე, ტექსტისთვის საგანგებოდ შემოხაზული ჩარჩოს გარეთ. არშიის მოკაზმულობად უმთავრესად გამოყენებულია განსაკუთრებული სახის ნაყშები და მცენარეებისა და ცხოველების ჩუქურთმები.

ძვირფასი წიგნების ტექსტს ხშირად ფერადი ხაზებისგან შედგენილ მხატვრულ ჩარჩოში ათავსებდნენ. მაგალითად, 1681 წ. დაწერილი „დაუჯდომელის“ (H 88) ტექსტი მოთავსებულია ოქრომელნით, წითური, მწვანე და ლურჯი ფერის ხაზებით გაკეთებულ მხატვრულ ჩარჩოში. „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკ. ხელნა-



სურ. 7. თავკახმელობა და ასომთავრული ნუსხური თხზული დაწერილობა.

წერში (Q 261) ტექსტი ჩასმულია ვარაყითა და საღებავებით მოხაზულ ჩარჩოებში. XVII—XVIII სს. ოთხთავის (H 1192) ტექსტის ყოველი გვერდის ორ-ორი სვეტი ჩასმულია ოქროსფერული განიერ ჩარჩოში და ყოველი ცალკე სტრიქონი გარშემოვლებულია ოქრომელნით და სხვ. როდესაც ტექსტისთვის მოხაზულ ჩარჩოს გარეთ კიდევებზე რჩებოდა ვრცელი თავისუფალი ადგილი, მიმართავდნენ მის მოხატვას. XII საუკუნეში ნიკრამს მიერ გადაწერილ იოანე სინელის „კლემენტის“ (H 1669) არშიები საგანგებოდ არის მოხატული. XVII საუკუნეში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ (H 2074) ყოველი ფურცლის არეები გაფერადებულია ადამიანთა, ცხოველთა და ყვავილთა გამოხატულებით. ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ 1680 წ. გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ (II 54) ტექსტი ჩასმულია წინასწარ შემოხაზულ ჩარჩოში, მის გარშემო კი ფართო არშიები შემკობილია მალახარისხოვანი მხატვრობით. მხატვარს დიდი ოსტატობით გადაუწნავს ერთმანეთში სხვადასხვა მცენარისა და ყვავილის რტოები. მრავალფეროვან ფოთლებში მას მოხერხებულად გადმოუცია ცხოველებისა და ფრინველების მოძრაობაც, რომელიც თავისი შინაარსისა და შესრულების მხრივ იმდენად მრავალფეროვანია, რომ არცერთი გვერდი არ იმეორებს მეორეს. დასასრულ, ყველაფერი ეს მოთავსებულია კიდევ უფრო დიდ ჩარჩოში, რომლის გვერდები საკმაოდ ახლოს გასდევს ფურცლის კიდევებს.

ბოლოკაზმულობა (ბოლოსამკაული), რომელიც წარმოადგენს მხატვრულ სამკაულს ტექსტის ბოლოს, უფრო მცირე და ნაკლებად რთული აგებულებისაა, ვიდრე თავკაზმულობა. მაგალ., ცნობილ პარხლის ოთხთავში ხელნაწერის მხატვრულ გაფორმებად მოცემულია აგრეთვე სადა ბოლოსამკაულები. ბოლოკაზმულობით შემკულია X საუკუნეში დაწერილი ხელნაწერიც, რომელშიც მოცემულია წმ. მამათა სიტყვები და საკითხავები (A 144).

ჩუქურთმის დახასიათებისას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს თავკაზმულობას და შემდეგ საზედაო ასოებს, რადგან ბოლოკაზმულობა და არშიის მოკაზმულობანი, ჩვეულებრივ, ნაკლებად განვითარებულია მხატვრულობის თვალსაზრისით.

ხელნაწერის შემსწავლელისთვის ჩუქურთმა ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით მეტ-ნაკლები სიზუსტით შესაძლებელია შესასწავლი ხელნაწერის წარმოშობის დროის განსაზღვრა. სხვადასხვა დროისთვის დამახასიათებელი იყო ჩუქურთმის განსაკუთრებული მხატვრული სტილი. ამ სტილთა ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა უთარილო მოხატული ხელნაწერი ძეგლების დასათარიღებლად.

## ღაზიანაპური ხელნაწერების განახლება

საქართველოში ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო წიგნზე. წიგნის კითხვის სურვილი იმდენად ფართო და აუცილებელი იყო, რომ ჩვენში დაწესდა გასათხოვარი ქალის მზითევში წიგნის გატანება. მრავლად გაჩნდა წიგნების ისეთი მოყვარულნიც, რომელნიც თავიანთთვის აწერინებდნენ ან იწერდნენ ხელნაწერებს. მათ ტრფიალი წიგნთა ეწოდებოდა.

ყოველ წიგნს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ზოგი იყო საეკლესიო, სასულიერო ხასიათის ანუ „საღმრთოა წიგნი“, ზოგი — „საერო ანუ გარეშე“ და „საკითხავი“, ზოგი კიდევ — „სამეცნიერო“. თავისი დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით არსებობდა საშინაო ანუ შინ, სახლში სახმარებლად განკუთვნილი წიგნები და სათანაო ანუ თან სატარებელი წიგნები. პარაკლიტონის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „ვიყიდე... სათანაო სახმარადო“ (ღ 63, შმუცტიტული). რა თქმა უნდა, ეს წიგნები ერთმანეთისგან გარეგნობითაც განსხვავდებოდა — სათანაო წიგნები მცირე ზომისა იყო და თან სატარებლად მოსახერხებელი.

დროთა განმავლობაში ხელნაწერი წიგნი განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ხელნაწერი დიდი ხმარებისგან ცვდებოდა და იგლიჯებოდა, ზოგი ხელნაწერი წამკითხველის დაუდევარი და გაუფრთხილებელი ხმარების გამო ზიანდებოდა. გარდა ამისა, წიგნებს ჰყავდა როგორც მეგობრები, ისე მტრები, რომლებიც ხელნაწერს შეგნებულად აზიანებდნენ. ისინი ხან ნათხოვარი წიგნებიდან მათთვის საინტერესო შინაარსის ფურცლებსა და სურათებს ამოგლეჯდნენ თუ ამოჰკრიდნენ ხოლმე; ხან კი მათთვის არასასურველსა და მიუღებელ ადვილებს შლიდნენ და მის მაგივრად სხვას წერდნენ, როგორც, მაგალითად, პალიმფსესტებში, ან სხვადასხვანაირი საშუალებებით უკვალოდ სპობდნენ. ამით არის გამოწვეული ის, რომ ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში შემდეგი სახის სიტყვები გვხვდება: „წყვეული იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოთ არშიაზე ბლარჯვა დაუ-

წყოს და ან ფინთად და უნაღვლეღად და ნისიათ იხმაროს<sup>1</sup>. უამრავი ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები დაიღუპა და, უკეთეს შემთხვევაში, დაზიანდა მტერთა შემოსევების დროსაც.

ხელნაწერების დაზიანება ძირითადად ორგვარი ხასიათისა იყო. როდესაც დაზიანება მხოლოდ ნაწერს დაეტყობოდა, ასეთ ზიანს დაშავება ეწოდებოდა, ხოლო დაზიანებულ ტექსტს — დაშავებულ ი. დაშავებულ ნაწერს შემდეგ განაახლებდნენ, რასაც განცხოველებაც ერქვა. მაგალითად, ცნობილ ჯრუჭის ოთხთავში მელანი ბევრგან გადაღეულია და ნაწერი ძნელად იკითხება. შემდეგ ეს ადგილები ზოგან გაუცხოველებით მოლიანად თუ ნაწილობრივ. მთელ რიგ სიტყვებში ძველი ასოების მონახაზზე ახლად გაუყოლებით კალამი, ზოგჯერ კი მთელ გვერდზე მოთავსებული ტექსტი ხელახლა დაუწერიათ ძველი ასოების კვალზე. ეს განახლება თვალნათლად შეინიშნება, რადგან გაცხოველებული ადგილები შავად გამოიყურება, მაშინ როდესაც პირვანდელ ნაწერს მიხაკის ფერი გადაჰკრავს. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის XIII საუკ. „სჯულის კანონში“ (№ 17) ბევრ ადგილას გადასული მელანი გაუახლებია ვინმე იოსებს 1589 წელს.

როგორც აღვნიშნეთ, სკოდნიათ აგრეთვე „ფურცლის ამოკუთვამ“, „ფურცლის ამოგლეჯა“ და „რვეულის ამოგლეჯა“. ასეთ შემთხვევაში ახალ ფურცელზე ხელახლა წერდნენ ამოგლეჯილ ფურცლებზე მოთავსებულ ტექსტს. ერთი ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია: „...დაკლებულსა დაესწერდ და დაფარულსა განვაცხადებდი“-ო. ამ „დაკლებულის“ სანაცვლოდ ხელნაწერში ახალ დაწერილს სათანადო ადგილას ჩააკრავდნენ, რასაც ჩამატება ეწოდებოდა. X საუკ. გადაწერილ პარხლის ოთხთავს უკვე XVIII საუკუნეში აკლდა პირველი რვეული. რომელიც 1744 წელს შეუესია ნიკოლაოზ მთავარ-დიაკონს. XII — XIII სს. გადაწერილ „სადღესასწაულოს“ (A 44) დანაკლისი ადგილები აღუდგენიათ XV საუკუნეში. X — XI სს. ეტრატზე გადაწერილ იოანე სინელის „კლემენტის“ (A-285) თავსა და ბოლოში დანაკლისი ადგილები XIX საუკუნეში ქალალზე შეუესია დავით რექტორს.

აკინძული წიგნი ხშირად ირღვეოდა, იშლებოდა, რასაც დაშლილობა ეწოდებოდა, თვით დაზიანებულ ხელნაწერს კი — დაშლილი. დაშლილ ხელნაწერს დროთა ვითარებაში ხელახლა შეჰკრავდნენ, აკინძავდნენ და დაუბრუნებდნენ პირვანდელ სახეს, რასაც წიგნის განახლება ან გაახლება ერქვა. ერთ-ერთი ხელნაწერის გა-

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Описание, II, стр. 553.



მაახლებელი მღვდელ-მონაზონი სოლომონი აღნიშნავს, რომ ანტონმა მიბრძანა მე „შეკურა და განახლება გულანისა ამისო“ (A 932).

დაზიანებული ხელნაწერი წიგნების განახლების შესახებ ხშირად აღნიშნულია ხოლმე ხელნაწერზე დართულ ანდერძ-მინაწერებში. მაგალ., XII საუკ. ოქტობრისში ნაწერი ალაგ-ალაგ გაცხოველებულია, რის შესახებაც ანდერძში ვკითხულობთ: „ამისა მაცხოვრებელს გრიგოლს ბანდაძსძეს შეუნდვნეს ღმერთმანო“ (A 576). სხვა ხელნაწერში ვკითხულობთ: „განახლდა და შეიკაზმა ქელითა ფრიად გლახაკისა და უღირსისა მღვდელ-მონაზონის ბესარიონისათაო“ (A 198). მაგრამ ზოგჯერ ეს გარემოება აღნიშნული არ არის. ამიტომ ხელნაწერის შემსწავლელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ძველი ხელნაწერების გაცხოველება-განახლება იშვიათი შემთხვევა არ იყო, ნაწერის თუ ტექსტის შეფასების დროს მან ამასაც ანგარიში უნდა გაუწიოს.

---

## ხელნაწერთა ღამთაილი

ხელნაწერებზე მუშაობისას მუზეუმის მუშაკს პირველ ყოვლისა დასკირდება შესასწავლი ძეგლის დათარიღება. ხელნაწერის წარმოშობის დროის განსაზღვრა ყოველთვის ერთნაირად და უცბად არ მოხერხდება. მუშაობის პროცესში ჩვენ შეგვხვდება დათარიღებული ხელნაწერები, მათარიღებელი ნიშნების მქონე ხელნაწერები და ხელნაწერები, რომლებშიც მოცემული არ არის მათარიღებელი ნიშნები. დასახელებულ ხელნაწერებს სხვადასხვა მეთოდით უნდა შესწავლა და, რა თქმა უნდა, ჩვენი შედეგებიც ერთნაირი სიზუსტისა და ერთნაირი ღირსების არ იქნება.

უთარილო ხელნაწერების დათარიღებისას მრავალგვარი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო. თუ რაოდენ დაკვირვებასა და მიხვედრილობას თხოულობს შესასწავლი ხელნაწერი, ამის ნათელი მაჩვენებელია პროფ. ა. შანიძის დაკვირვება ხანმეტ ლექციონარზე<sup>1</sup>.

ხელნაწერთა დასათარიღებლად საჭიროა ვიცოდეთ, თუ უწინ საქართველოში პრაქტიკულად წელთაღრიცხვის რა სისტემებს ხმარობდნენ. მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ქართველებს სხვადასხვა სისტემის წელთაღრიცხვა სკოლდნიათ. წელთაღრიცხვის ეს სისტემები სხვადასხვა დროს და ჩვენი კულტურის სხვადასხვა ცენტრში (საქართველოში, იერუსალიმში, სინას მთასა და ათონის მთაზე) მეტნაკლებად ყოფილა გავრცელებული.

სხვა ხალხების მსგავსად, ქართველებსაც დაუდგენიათ თავისი ერა, ესე იგი წელიწადი, საიდანაც ისინი დროთა აღრიცხვას იწყებდნენ. საქართველოში გავრცელებული იყო უმთავრესად წელთაღრიცხვის სამი სისტემა: დასაბამითგანი, ქრისტესით და ქორონიკონით.

ერა დასაბამითგანი თვლას აწარმოებს „ქეეყნის დასაბამიდან“, „გაჩენიდან“. მაგალითად, ჯრუჭის ოთხთავში აღნიშნულია, რომ როცა ნუსხა დაიწერა, „დასაბამითგან წელნი იყენეს ხმმ“-ო.

<sup>1</sup> ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, 1944 წ., გვ. 018 — 019.

ამითი გადამწერს იმისი თქმა სურს, რომ „ქვეყნის გაჩენიდან“ ოთხთავის დაწერამდე გასულა 6540 წელი.

დასაბამითგანის დღევანდელ ანგარიშზე გადმოსაყვანად ასე უნდა მოვიქცეთ: წლების მოცემულ რაოდენობას უნდა გამოვაკლოთ ქრისტეს დაბადების წელი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს შემდეგი: ერა, „ქვეყნის გაჩენიდან“ ან, როგორც სხვანაირად იტყვიან, „ადამიდან“ ქრისტეს დაბადებამდე, სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იხმარებოდა. ამიტომ ქართველები ხშირად საგანგებოდაც კი აღნიშნავდნენ ხოლმე, თუ რომელი სათვალავით იყო დასაბამითგანი: „ქართულითა სათვალავითა“, „ბერძენთა სათვალავითა“ და ა. შ. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ქართველები იცნობდნენ ამ წელთაღრიცხვის შემდეგ სახეებს:

- 1) 5604 წ. ქართველებისას,
- 2) 5508 წ. ბიზანტიელებისას,
- 3) 5500 წ. ანთანე ალექსანდრიელისას,
- 4) 5492 წ. პანოლორე ალექსანდრიელისას.

ამათგან საქართველოში ყველაზე უფრო პრაქტიკული გამოყენება ჰქონია 5604-წლიან წელთაღრიცხვას. ერა, რომელიც „ქვეყნის გაჩენიდან“ ქრისტემდე 5604 წ. თვლიდა, ქართველებს ნაციონალურ ერად მიუჩნევიათ.

ქართული 5604-წლიანი სისტემის ხმარება ჩვეულებრივია XIX საუკუნემდე. ასეთი სისტემით თვლისას დასაბამითგანის დღევანდელ ანგარიშზე გადმოსაყვანად საჭიროა წლების მოცემულ რაოდენობას გამოაკლდეს 5604 წელი. მაშასადამე, ზემოდასახელებული ჯრუჭის ოთხთავის ანდერძში ნახსენები დასაბამითგანა ხმვ (6540) ასეთი გამოანგარიშებით (6540 — 5604) მოგვცემს 936 წელს.

იოანე ოქროპირის ცხოვრება ასეა დათარიღებული: „დასაბამითგანნი წელნი იყვნენ ხჳმოზ...“ ეს თარიღი აღნიშნული გამოთვლით (6572 — 5604) გვაძლევს 968 წელს. იოანეს გამოცხადების თარგმანების ანდერძში ვკითხულობთ, რომ ამ წიგნის დაწერისას „დასაბამითგანნი წელნი იყვნენ ხჳჰბ...“, ესე იგი (6582 — 5604) 978 წელი.

ბიზანტიური 5508-წლიანი სისტემის ხმარება ჩვენში ჩვეულებრივია განსაკუთრებით XI საუკუნიდან. როდესაც დასაბამითგანი ბერძნული სათვალავით არის აღებული, მაშინ წლების მოცემულ რაოდენობას უნდა გამოაკლდეს 5508 წელი. ასე, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის XVIII საუკ. ნუსხას გააჩნია დედნისეული ანდერძის პირი, რომელშიც ვკითხულობთ: „და-

იწერა ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს, დასაბამითგან წელთა ბერძენთა სათუალავითა ხვლტ...“ აღნიშნული თარიღი გვაძლევს (6538 — 5508) 1030 წელს.

მოქვის ოთხთავის ანდერძში მოცემულია დასაბამითგანი ქართული და ბერძნული სათვალავით: „...დაიწერა ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხვლ ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად — ხვტ...“ როგორც ქართული (6904 — 5604), ისე ბერძნული (6808 — 5508) გვაძლევს 1300 წელს.

როდესაც დასაბამითგანი ანიანე ალექსანდრიელის სათვალავით არის აღებული, მაშინ წლების მოცემულ რაოდენობას უნდა გამოაკლდეს 5500 წელი. მაგალ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში აღნიშნულია, რომ წმ. ნინო მიიტყალა დასაბამითგან უკლტ წელსაო. ნაჩვენები თარიღი გვაძლევს (5838 — 5500) 338 წელს.

როდესაც დასაბამითგანი პანოლორე ალექსანდრიელის სათვალავით არის აღებული, მაშინ წლების მოცემულ რაოდენობას უნდა გამოაკლდეს 5492 წელი და ა. შ.

საქართველოში უფრო ხშირად იყენებდნენ ქართულ ქორონიკონს, ანუ, როგორც ძველად ამბობდნენ, ქრონიკონს. ეს წელთაღრიცხვა გაბატონებული იყო VIII საუკუნის გასულიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე.

ქართული ქორონიკონი ნაანგარიშევი იყო ხუთას ოცდათორმეტწლიან (532) მოქცევაზე ანუ ციკლზე. ის დამყარებულია მზისა და მთვარის მოქცევაზე. მზის მოქცევის წელი (28) გამრავლებული მთვარის მოქცევის წელზე (19), გვაძლევს 532წლიან ციკლს, რომლის შემდეგ კვირის; თვისა და წლის დღეები უცვლელი თანამიმდევრობით მეორდება, ე. ი. 532 წლის შემდეგ თვის რიცხვები იმავე დღეებში მოვა, რომელშიც ისინი წელს ხვდებიან. ერთი ასეთი მოქცევის დასრულების შემდეგ დაიწყებოდა მეორე, მერე მესამე და ასე შემდეგ. ქართველთა ანგარიშით „დასაბამითგან სოფლისა“, ე. ი. ქვეყნის გაჩენიდან 780 წლამდე (ჩაძვლით) გასულა 12 მოქცევა. 781 წელს დაიწყო მეცამეტე მოქცევა, რომელიც დასრულდა 1312 წელს (780 + 532). მეთოთხმეტე მოქცევა დაიწყო 1313 წელს, ხოლო დასრულდა 1844 წელს (1312 + 532). 1845 წელი იყო მეთხუთმეტე მოქცევის პირველი წელი.

როგორც ვხედავთ, ერთი მოქცევა შეიცავს 532 წელს. მოქცევის წელიწადი იწოდება ქორონიკონად. მაგალითად, როდესაც ცნობილი აღიშის სახარების გადამწერი მიქელი ამბოძს, რომ აღნიშნული ძეგლი გადაწერილია „ქორონიკონსა რიზ“, ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ მოქცევის წელიწადი არი 117. თუ ვიცით რომელ მოქცევაში მოხდა აღნიშნის ოთხთავის გადაწერა, მაშინ ადვილად გავიგებთ რომელ წელს უდრის აღნიშნული ქორონიკონი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთას ოცდათორმეტიათი ციკლის ანგარიშის დროს იშვიათად მიუთითებდნენ ხოლმე, თუ რომელი მოქცევისა იყო ის წელიწადი, რომელსაც აღნიშნავდნენ და ჩვენ ახლა იძულებული ვართ სხვა მონაცემებით მივხვდეთ, რომელ მოქცევას ეკუთვნის ქორონიკონით ნაჩვენები წელი. მაგრამ საქმეს აადვილებს ის გარემოება, რომ ჩვენს მწერლობაში მხოლოდ მეცამეტე და მეთოთხეტე მოქცევის წლებია მითითებული და ყოველი ქორონიკონი ან ერთი მოქცევისაა, ან მეორისა.

თუ გვინდა გადმოვიყვანოთ ასეთი სათვალავი დღევანდელზე, წლების მოცემული რაოდენობა უნდა მივუმატოთ ან 780-ს (თუ ვარაუდით იგი მეცამეტე მოქცევას ეკუთვნის), ან 1312-ს (თუ მეთოთხმეტე მოქცევა იგულისხმება). მაგ., ბასილი კესარიელის უსალმუნთა განმარტების ანდერძში ვკითხულობთ: „...დაიწერა ქრონიკონსა 356“. მოყვანილი ქორონიკონი დღევანდელი ანგარიშით იქნება (780 + 255) 1035 წელი. მარტვილის ოთხთავის ანდერძიდან ვგებულობთ, რომ მისი დაწერისას „...ქორონიკონი იყო 60“, ე. ი. თანამედროვე ანგარიშით ყოფილა (780 + 270) 1050 წელი.

ერა ქრისტესით წელთაღრიცხვას იწყებს ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებზე მითითებით. ეს წელთაღრიცხვა ჩვენში პირველად გამოაქენა VIII საუკ. გასულს იოანე საბანიძემ აბო თბილელის მარტვილობის დასათარიღებლად. ეს წელთაღრიცხვა სამი სახის იყო: გამოსავალ წერტილად ერთ შემთხვევაში აღებული იყო ქრისტეს „დაბადება“, მეორე შემთხვევაში — მისი „ვნება, ჯვარცმა და აღდგომა“, ხოლო მესამე შემთხვევაში — „ამაღლება“.

აღნიშნის ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ, რომ დაიწერა ეს ოთხთავი „შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა“, ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს „შობითგან“, „დაბადებითგან“, თუ „განხორციელებითგან“ ამ წიგნის გადაწერამდე გასულა 1001 წელი. ამასთან, რადგან ხელნაწერის „გადამწერისთვის გამოსავალია აღექსანდრიული სათვალავი, რომელიც ქართულ სათვალავს 104 წლით ჩამორჩებოდა, ეს განსხვავება რომ გამოვაკლოთ ხელნაწერში მოცემულ თარიღს, მივიღებთ 897 წელს.

ოსე გაბაშვილის მიერ გადაწერილი სიგელ-გუჯრების შემცველი ერთ-ერთი კრებულის (H 1781) ანდერძში ნათქვამია: „განვაახლე ეამსა უმაღლესისა მეუისა ჩუენისასა სოლომონ მეორისასა,

არჩილის ძისათა, თთვესა აპრილსა კ, განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩლუჴ“, ე. ი. ეს ხელნაწერი ოსეს გადაუწერია 1797 წლის 20 აპრილს.

როგორც უკვე აღენიშნეთ, ქრისტესით ანგარიშის დროს ზოგჯერ გამოსავალ წერტილად მიღებულია ქრისტეს „ვნება, ჯვარცმა და აღდგომა“. ასე მაგალითად, შიომღვიმის ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ, რომ ხელნაწერი დაიწერა „შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოაქამოჴდე ჩსმ“. ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს ჯვარცმიდან ამ წიგნის გადაწერამდე გასულა 1270 წელი. იმის გასარკვევად, თუ რამდენი წელიწადი გავიდა ქრისტეს დაბადებიდან ძეგლის გადაწერამდე, საჭიროა ჯვარცმიდან ძეგლის გადაწერამდე გასულ დროს 1270-ს მიუვმატოთ დრო ქრისტეს დაბადებიდან მის ჯვარცმამდე — 34 წელი, ჩივილებთ 1304 წელს. მაგრამ, როგორც სხვა მონაცემებიდან ვკვებულობთ, გადამწერი ანგარიშს აწარმოებს ალექსანდრიული სათვალავით. ამიტომ მოცემულ თარიღს უნდა გამოვავლოთ განსხვავება 104 წელი, მივიღებთ 1200 წ., ძეგლის გადაწერის თარიღს ქართული წელთაღრიცხვით<sup>1</sup>.

უთარილო ძეგლების დათარიღება თვით ამ ძეგლის შინაარსითაც შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, მასში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა დროის მიხედვით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავდაპირველად საქართველოში წელთაღრიცხვის ამოსავალ წერტილად ანერად სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტს თუ ისტორიულ პიროვნებას მიიჩნევდნენ. ამიტომ ხშირად წერილობით ძეგლებში ფაქტები და მოვლენები დათარიღებულია ხოლმე ამა თუ იმ ხელმწიფის მეფობით. ასე, მაგალითად, ათონის საპოციქულოს ანდერძში ნათქვამია, რომ „დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოხსასა, საყოფელსა წმიდათა კოზმან - დამიანეთასა, პატრიარქობასა კოსტანტინეპოლეს პოლიოქტოხსა, მეფობასა ნიკიფორესა...“ აქედან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერლია ნიკიფორე ფოკას მეფობისას (959 — 969 წწ.) და კოსტანტინეპოლის პატრიარქ პოლიფექტის მღვდელმთავრობისას (956 — 970 წწ.).

ალავერდის ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ: „...დაიწერა კალიპოსს. ლაერასა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, მეფობასა კოსტანტი მონამაიისსა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის, აფხაზთა მეფისა ნოველისიმოხისსა სამეფოსა ყოფასა“... ამის შემდეგ წერია: „ქორონიკონი იყო“, მაგრამ რიცხვი

<sup>1</sup> გ. მიქაძე, შიომღვიმის ოთხთავის დათარიღებისათვის, თსუ ვახ. ახალ-ვახრდა სტალინელი, 19ან წ., № 22.

ჩაწერილი არ არის. ნუსხის დაწერის თარიღი, მაშასადამე, სხვა მონაცემებით უნდა გაირკვეს, კერძოდ ანდერძის იმ ადგილის მიხედვით, სადაც ნათქვამია: „დაიწერა .. ბაგრატის, აფხაზთა მეფისა ნოეელისიმოსისა სამეფოსა ყოფასაო“. ისტორიიდან ვიცით, რომ ბაგრატ IV კოსტანტინეპოლს, სამეფო კარზე, 1054 წელს იყო და, მაშასადამე, ეს ხელნაწერი უნდა მივიჩნიოთ ამ დროის ნუსხად.

უთარილო წერილობითი ძეგლების ქრონოლოგიური განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათს პალეოგრაფიულ ნიშნებს. უთარილო ძეგლების დათარიღება შეიძლება ასოთა მოხაზულობის ნიშნების მიხედვით. ასე, მაგალითად, მრგლოვანჩასომთავრულით ნაწერი უთარილო ძეგლების დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამი ასოს მოხაზულობას — ბანისას, ვესას და ქარისას. ამთგან ბანი უძველეს ხანაში თავშეკრული იწერებოდა, შემდეგ კი მას თავი გაეხსნა ჯერ ოდნავ, შემდეგ თანდათანობით მთლიანად. ბოლნისის სიონის წარწერაში ასომთავრული ბანი თავშეკრულია. მცხეთის ჯვრის ეკლესიის VII საუკ. წარწერის ბანს თავი ოდნავ აქვს გახსნილი, ხოლო მოგვიანო საუკუნის ძეგლებში ბანი თავგახსნილია.

ვესა და ქარის მოხაზულობა, მეტადრე კი ბანის თავშეკრულობა შეიძლება გამოყენებული იყოს უძველესი უთარილო ძეგლების დასათარიღებლად. მთელი რიგი პალიმფსესტები, რომელთა დამახასიათებელ ნიშანს დაწერილობის თვალსაზრისით თავშეკრული ბანი შეადგენდა, აქად. ივ. ჯავახიშვილმა V — VI საუკუნეებისად მიიჩნია.

მხედრულ დაწერილობაში აღსანიშნავია XVII საუკ. მეორე ნახევრის ზოგიერთი ხელნაწერისთვის დამახასიათებელი ჰ და პ ასოების დაწერილობა. ჰ-ს ოთხკბილიანი და პ-ს სამკბილიანი გამობატულება vice versa, ე. ი. შებრუნებული მხრით, მოცემულია XVII საუკ. მეორე ნახევარში გადაწერილ „ვეფხისტყაოსანში“ (H 2074) და 1671 წ. გადაწერილ „ვეფხისტყაოსანში“ (H 757). სხვათა შორის, ჰ და პ ასოთა შებრუნებული მხრით დაწერილობა ახასიათებს აგრეთვე „იოსებ-ზილიხანიანის“ შემცველ ერთ-ერთ ხელნაწერსაც. ამ ასოთა აღნიშნული დაწერილობა, ხელნაწერის დაწერილობის საერთო ხასიათთან ერთად, გამოგვადგება „იოსებ-ზილიხანიანის“ ხელნაწერის დასათარიღებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ უთარილო ხელნაწერების დასათარიღებლად ჯერჯერობით არა გვაქვს მყარი საფუძველი მარტოოდენ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს დაწერილობის საერთო ხასიათი და მოხაზულობა.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელნაწერებს არ გააჩნია მათარიღებელი ნიშნები, სპეციალისტები მიმართავენ ხელნაწერების დათარიღებას ხელის მიხედვით. ხელის მიხედვით ხელნაწერთა დათარიღებას თან ახლავს ორგვარი სიძნელე: ჯერ ერთი ხელნაწერის აღმწერელი ძალიან გაწაფული უნდა იყოს პალეოგრაფიაში; მერე — ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ქართული დაწერილობის განვითარების საფეხურები, განსაკუთრებით ეს ითქმის მხედრული დაწერილობის შესახებ. აღნიშნული გარემოება კი, რა თქმა უნდა, ხელნაწერის აღმწერლისგან მოითხოვს დიდ სიფრთხილესა და განსაკუთრებულ ყურადღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელის მიხედვით დათარიღებისას აღმწერელს შეიძლება მოუვიდეს მეტად მძიმე და სავალალო შეცდომა. აქვე დავასახელებთ ასეთი შეცდომის ორ მაგალითს.

საქართველოს ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღმწერლებს ცენტრარქივის ხელნაწერი № 32 ხელის მიხედვით მიუჩნევიათ XIV საუკ. პირველი მესამედის ძეგლად. სინამდვილეში კი, დასახელებული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია ცნობილი კალიგრაფ-მხატვრის დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილის (დაიბ. 1780 წ.) მიერ, განეკუთვნება XIX საუკუნეს.

ამავე ფონდის ხელნაწერი № 68, რომელიც წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის რიტორიკას, ხელის მიხედვით დათარიღებულია XVIII საუკ. უკანასკნელი მესამედით, მაშინ როდესაც ქალაქის ჭვირნიშანში იკითხება: „1815“.

უთარილო ხელნაწერის დასათარიღებლად სპეციალისტები მიმართავენ აგრეთვე სხვა ხელნაწერის ანალოგიურ ნიშნებს თან შედარების ხერხს. ასე, მაგალითად, დოც. კ. გრიგოლიამ ჯანაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ თარიღის დასადგენად შეისწავლა მისი დამახასიათებელი ყველა ნიშანი და ისინი რუმთან ცევისეული ნუსხის ანალოგიურ ნიშნებთან შედარებით განიხილა. შედარებისას გამოიკვია, რომ ორივე შემთხვევაში სრულიად ერთნაირია ქალაქი, ჭვირნიშანი და ხელი. ხშირ შემთხვევაში ერთნაირია ცალკეული ასოების გრაფიკული მოხაზულობა და მათი გადაბმის ხერხი. მსგავსია აგრეთვე წითურის ხმარების წესიც. ასეთივე ტექსტში ცარიელი ადგილების დატოვების საქმეც: გადამწერს სურდა მის მიერ შემზადებულ ტექსტში შეეტანა ახალი ჩანართების მთელი წყება, ოღონდ ასეთები მას გადაწერის მომენტისთვის ხელთ არ ჰქონია, ამიტომ მათთვის გამიზნული ადგილები ხელნაწერში სუფთად დაუტოვებია. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი რედაქციული ღონისძიება, რომელიც რუმინანცევისეულში



მხოლოდ კიდებზეა მითითებული, ჯანაშვილისაში უკვე ტექსტშია გათვალისწინებული. მაგალითად, შუშანიკის ცხოვრების შესახებ რუმინანცევისეულ ნუსხაში მხოლოდ კიდებზეა ნათქვამი: „აქ წმინდა შუშანიკის ცხოვრება უნდა“. ჯანაშვილისეულში კი ამ მიზნით სუფთად დატოვებულია მთელი გვერდი, რომელსაც წინასწარ „ქუდიც“ კი აქვს გაკეთებული.

ამრიგად, აღნიშნული გარემოებანი ქართლის ცხოვრების ამ ორი ნუსხის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შესახებ უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართლის ცხოვრების რუმინანცევისეული ნუსხა ცოტათი მაინც უნდა უსწრებდეს მეორეს: თუ რუმინანცევისეული ნუსხა, როგორც გამოჩვენებულია სპეციალურ ლიტერატურაში, 1699 — 1703 წლებშია გადაწერილი, ჯანაშვილისეული ხელნაწერი უახლოეს მომდევნო წლებში უნდა იყოს გადაწერილი-შემზადებული.

უთარილო ძეგლების დათარიღება შესაძლებელია ენის მიხედვითაც, როდესაც ძეგლში ნახმარი გრამატიკული ფორმებისა და ტერმინების გაჩენისა და გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები დადგენილია. ასე, მაგალითად, ქართულ ენას ადრეულ საფეხურზე ახასიათებდა ჯერ ხ-ანის, ხოლო შემდეგ ჰ-აის ხმარება მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად ზმნებში, ხოლო შედარებითი, აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად სახელებში. ქართული ენის ეს თვისება გამოსადეგი ნიშანია ძეგლის ქრონოლოგიურად განსაზღვრისთვის. პროფ. ა. შანიძის გამოკვლევით, ხანმეტი ლექციონარის ძირითადი ნიშანი ხანმეტობაა და ამ ნიშნის მიხედვით ძეგლი დაწერილია VII საუკუნეში, ალბათ, მის მეორე ნახევარში<sup>1</sup>.

ხელნაწერის ქრონოლოგიურად განსაზღვრისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ძეგლის მართლწერაც. ცნობილია, რომ უმარცვლო უ-ნის განმასხვავებელი ნიშანი ჟ-ბრჯგუ შემოღებულ იქნა XVIII საუკუნეში. ვახტანგის მიერ 1712 წ. გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ ეს ნიშანი ჯერ კიდევ არ გვხვდება. მაშასადამე, უბრჯგუიანი ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნის უადრესი არ შეიძლება იყოს. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი № 2, რომელიც შეიცავს „კატეზიმოს“, აკად. ე. თაყაიშვილის თქმით, გადაწერილია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან აღნიშნულ ხელნაწერში იხმარება უბრჯგუ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „ხანმეტი ლექციონარი“, 1944 წ., გვ. 019.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933 წ., გვ. 23.

უთარილო ხელნაწერებს ათარილებენ აგრეთვე ქალაღდის კვირ-ნიშნის მიხედვით, რის შესახებაც ზემოთ უკვე გექონდა საუბარი (გვ. 29).

ქართულ ხელნაწერებში შეიძლება შეეხვდეთ დათარილებას მაჰ-მადიანთა შორის გავრცელებულ ისმაიტელთა ანუ არაბთა წელთ-ალრიცხვის მიხედვით. მაჰმადიანთა წელთალრიცხვა იწყება ჰიჯ-რიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა მაჰმადი მაქიდან მადინას გა-იქცა, რაც ჩვენი წელთალრიცხვით უდრის 16.VII.622 წელს. მაჰმადიანთა წელი მთვარის მიმოქცევაზეა დამყარებული და 11<sup>1</sup>/<sub>4</sub> დლით მოკლეა ჩვენსაზე. მათი წელიწადი მოძრავია: ყოველ წელს მაჰმადიანთა ახალწელიწადი თერთმეტი დლით უკან-უკან იწევა. მაჰმადიანთა ერთი და იგივე თვე შეიძლება წელიწადის ოთხივე დროში მოდიოდეს, ხოლო 32 წლის შემდეგ თავის ალაგს დაუბ-რუნდება და ხელახლა დაიწყებს ბრუნვას.

მაჰმადიანთა წელთალრიცხვის გამოსათვლელად საჭიროა მიე-მართოთ სპეციალურ წიგნაკს, რომელშიც მოცემულია სათანადო ტაბულები მაჰმადიანთა წელთალრიცხვის გადმოსაყვანად ჩვენს წელთალრიცხვაზე<sup>1</sup>.

ასეთია ზოგადად ქართული ხელნაწერების დათარილებასთან დაკავშირებული საკითხები.

---

<sup>1</sup> [И. Орбѣли.] Синхронистические таблицы для перевода исторических дат по хиджре на европейское летоисчисление, Л., 1940. იხ. აგრ. კ. ტაბატაძე, მუსლიმანური წელთალრიცხვა — ჰიჯრა, ვახ. „კომუ-ნისტისტი“, 1957, 16/III.

## ხელნაწიტი ალწერილობა

ქართული ხელწერების სისტემატური აღწერა მიზნად ისახავს საქართველოს მუზეუმებში დაცულ ხელწერთა ერთიანი და სრული აღწერილობის შედგენას. ხელწერი ფონდების პირველადი აღწერა წინაპირობაა ჩვენი რესპუბლიკის მუზეუმებში დაცული ამ მდიდარი საგანძურის შემდეგში საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლისათვის. ამ აღწერილობამ უნდა ასახოს ყოველი ხელწერის გარეგნული და შინაგანი მხარე. ამიტომ აღწერილობაში თითოეული ხელწერის შესახებ მოცემული უნდა იყოს ყველა არსებითი ცნობა: 1. ხელწერის ნომერი, 2. ავტორი, 3. სათაური, 4. მოცულობა, 5. ზომა, 6. მასალა. 7. ყდა, 8. ხელი, 9. მოხატულობა, 10. დაცულობა, 11. გადამწერი, 12. მომგებელი, 13. შემკაზმველი, 14. დაწერის თუ გადამწერის ადგილი, 15. თარიღი, 16. ქვირნიშანი, 17. შემწირველი, 18. ხელწერის სრული შედგენილობა, 19. ანდერძები და მეცნიერული ღირებულების მქონე მინაწერები, 20. შენიშვნები.

აღწერილობა უნდა შედგეს შემდეგი სახით:

1. აღწერილობაში ხელწერის ნომერი იწერება ფურცლის შუა ადგილას არაბული ციფრით.

2. თხზულების ავტორი იწერება გვარისა და სახელის აღნიშვნით ორჯერ: ა) ნომრის ქვეშ, მეორე სტრიქონზე მარცხნივ; ბ) ტექნიკური აღწერილობის შემდეგ, მასალის აღწერის საწყისში.

ა. ავტორის გვარი თუ უცნობია და ვიცით მარტო სახელი, რომელიმე ნართაული სახელითურთ, დაიწერება ჯერ სახელი, მერე ნართაული სახელი, მაგ.: იაკობ ცურტაველი, ლეონტი პროველი, ონანა მდივანი და სხვა.

ბ. იმავე წესით უნდა დაიწეროს ავტორის აღდგენილი გვარი აღწერილობის დასაწყისში იმ განსხვავებით, რომ აღდგენილი გვარი ჩაისმის კვადრატულ ფრჩხილებში.

შენიშვნა: 1. ავტორის გვარი და სახელი იწერება სახელდებით ბრუნვაში.

2. ხელწერის ავტორი თუ უცნობია, ამის შესახებ არაფერი იწერება.

3. ხელნაწერის სათაური აღწერილობაში ორჯერ იწერება: ა) ნომრის ქვეშ, მეორე სტრიქონზე, ავტორის გასწვრივ; ბ) ტექნიკური აღწერილობის შემდეგ, მასალის აღწერის შემდეგ.

ა. ხელნაწერის სათაური როკა ვრცელია, ის იწერება არა ისე, როგორც ტექსტშია წარმოდგენილი, არამედ შემოკლებით. მაგალ., თხზულების სრული სათაურია — „ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღმრთისათა და წინამძღრობითა სულისა წმიდისათა მოივლინა ქუეყნით შუამდინარით ქუეყანად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“. აღწერილობის მეორე სტრიქონზე სათაური დაიწერება შემოკლებულად: იოვანე ზედაძნელის ცხოვრება. შემოკლებული სათაური ბრჭყალებში არ ჩაისმის. სათაურის შემოკლება თუ ვერ მოხერხდა, მაშინ ის უნდა დაიწეროს სრულად, ჩვეულებრივ ბრჭყალებში ჩასმით. თუ თხზულების სათაური არ ჩანს (ხელნაწერის დაზიანების გამო ან რაიმე სხვა მიზეზით), ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოიძებნება შესატყვისი სათაური. თუ სათაურს ანდერძიდან ამოვიღებთ, მაშინ მას კავიან ბრჭყალებში («...») ჩავსვამთ. ხელნაწერი თუ კრებულს წარმოადგენს, სათაურის ადგილას იწერება „კრებული“ და განისაზღვრება კრებულის ხასიათი. მაგ., ლექსთა კრებული, ისტორიულ თხზულებათა კრებული, დოგმატიკურ თხზულებათა კრებული და სხვა. თუ ხელნაწერ კრებულს თავისი შინაარსის მიხედვით აქვს ზოგადი სათაური (მაგ., მამათა ცხოვრება, გულანი, ქართლის ცხოვრება და სხვ.), მაშინ იწერება მხოლოდ ზოგადი სათაური.

ბ. თხზულების სათაური იწერება იმ სახით, როგორც ხელნაწერშია მოცემული. თუ თხზულების სათაური არ ჩანს (ხელნაწერის დაზიანების გამო ან რაიმე სხვა მიზეზით), ხოლო ტექსტი ცნობილია, სათაური უნდა აღდგეს სხვა მსგავსი ხელნაწერის მიხედვით. ამ წესით დადგენილი სათაური დაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში, შენიშვნაში კი აღინიშნება ის ხელნაწერი, რომლის მიხედვითაც აღდგა სათაური. თუ ამ წესით არ მოხერხდა სათაურის აღდგენა, მაშინ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოიძებნება შესატყვისი სათაური და ამ წესით მიღებული სათაურიც იწერება კვადრატულ ფრჩხილებში. ორივე შემთხვევაში ხელნაწერის ავტორის სახელი სათაურისგან გამოიყოფა წერტილით, სათაურის შემდეგაც დაისმის წერტილი.

4. ნომრის ქვეშ, მეორე სტრიქონზე, სათაურის შემდეგ იწერება თარიღი. წლების ზუსტად აღნიშვნისას თარიღი იწერება არაბული ციფრებით, ხოლო საუკუნის (ან საუკუნეების) აღნიშვნა

ნის დროს — რომაული ციფრებით. თუ ხელნაწერის თარიღი იწერება ვარაუდით, მაშინ თარიღი ტექნიკურ აღწერილობაში ჩაისმის კვადრატულ ფრჩხილებში. თუ ხელნაწერის თარიღი საზოგადოდ ცნობილი არ არის, იწერება: უთარიღო.

5. აღწერილობის მესამე სტრიქონიდან იწყება ხელნაწერის ტექნიკური აღწერილობა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს აღნიშნული თანრიგით: მოცულობა, ზომა, მასალა, ყდა, ხელი, მოხატულობა, დაკულობა, გადაწერი, მომგებელი, მომკაზმველი, დაწერის ან გადაწერის ადგილი, თარიღი, ქვირნიშანი, შემწირველი და ძველი საინვენტარო ნომერი, თუ ასეთი გააჩნია. თითოეული ცნობის შემდეგ იწერება წერტილმძიმე.

6. ხელნაწერი იზომება მეტრული საზომით. აღინიშნება სიმაღლე გადამრავლებული სიგანეზე (მაგ., 22 X 17). სხვადასხვა ზომის ფურცლის შემკველ ხელნაწერში აღინიშნება უდიდესი ფურცლის ზომა, თუ ის ჩანართი ფურცელი არ არის.

7. საწერი მასალა აღინიშნება შემდეგნაირად: ქილი, ეტრატი, ქალაღი და ნარევი. ეტრატი თუ პალიმფსესტია, აღინიშნება: ეტრატი პალიმფსესტია.

8. თუ ხელნაწერში ნოიპოვება ცნობები მის დამწერზე ან გადამწერზე, მომგებელზე ან შემკაზმველზე, დაწერის ან გადაწერის ადგილზე, ან კიდევ ხელნაწერის შემომწირველზე, მაშინ ტექნიკურ აღწერილობაში აღნიშნავთ ხელნაწერის იმ გვერდს, რომელსაც ეს ცნობები დაუცავს.

შენიშვნა: ხელნაწერის დაწერის ან გადაწერის ადგილის სახელწოდება იწერება სახელობით ბრუნვაში.

9. ხელნაწერის დაკულობის მხრივ აღინიშნება: აქვს თუ არა ყდა და რამდენი ფურცელია ხელნაწერში ზუსტად. ამისთვის საჭიროა ხელახლა შემოწმდეს ფურცლების რაოდენობა როგორც ახალი, ისე ძველი რვეულებრივი სათვალავის მიხედვით. თუ ხელნაწერს ყდა აქვს, იწერება — ყდა; თუ ხელნაწერს ყდა არა აქვს, იწერება — უყდა.

10. ხელნაწერის ხელი შემდეგნაირად აღინიშნება: მთავრული, ნუსხა-ხუცური, მხედრული. სიტყვა „ხელი“ არ იწერება.

11. თუ ხელნაწერი მოხატულია, უნდა აღინიშნოს თითოეული მინიატურა.

12. ცნობები ხელნაწერის გადამწერ-მომგებლის, მომკაზმველისა და დაწერის ან გადაწერის ადგილის შესახებ დაიწერება

შემდეგნაირად: გადაწერი — ივანე; გადაწერის ადგილი — თელავი და სხვა.

13. მასალის აღწერის დროს შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვა შემთხვევა:

ა. ხელნაწერი თუ ნაკლულია, იწერება მისი დასაწყისი და ბოლო. როცა ტექსტს დასაწყისი სიტყვები აკლია, მაშინ ჩვეულებრივი ბრკეალების წინ სამწერტილს ესვამთ, ხოლო როცა ბოლო აკლია, ჩვეულებრივ ბრკეალს ვწერთ დამამთავრებელი სიტყვის შემდეგ, ხოლო დანაკლისს მომდევნო სამი წერტილით აღვნიშნავთ. მოტანილი ტექსტის ფარგლებში გადაღული ან დაკლებული სიტყვების ადგილას აგრეთვე წერტილები დაისმის.

ბ. ტექსტი თუ დაბეჭდილია, მაშინ უკანასკნელი ნაბეჭდი გამოცემის მიხედვით უნდა აღინიშნოს საღ წყდება ტექსტი.

გ. ხელნაწერი თუ ძველი ნაბეჭდი წიკნის პირს წარმოადგენს (მაგ., ვახტანგის სტამბის კურახევანი, თვენი ან საღლესასწულო), მაშინ არ არის საჭირო ტექსტის მასალის აღწერა, საკმარისია მისი ნაბეჭდი შესატყვისის აღნიშვნა.

დ. ასაწერი ხელნაწერის შედგენილობა თუ ზუსტად მისდევს აღწერილობათა წინა ტომებში აღწერილი ხელნაწერის შედგენილობას, საჭირო აღარ არის მისი შედგენილობის აღწერა. საკმარისია მითითება გაოქვეყნებულ აღწერილობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინა ტომებში შეტანილი ხელნაწერი უფრო გვიანდელია, ვიდრე ასაწერი.

ე. ხელნაწერი თუ კრებულს წარმოადგენს, მისი თითოეული სტატია აღწერილობაში აიწერება ახალი სტრიქონით. აღწერილობაში გაიტანება თითოეული სტატიის ავტორი და სრული სათაური. თუ სტატია ნაკლულია, მოიტანება სტატიის უკანასკნელი სტრიქონებიც.

ვ. ფოლკლორული მასალის აღწერა ხდება იმავე წესით, რა წესითაც აიწერება ჩვეულებრივი კრებულები.

ზ. ლექსის აღწერის დროს სათაურის შემდეგ გაიტანება ლექსის ერთი სტრიქონი. გამონაკლისის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, შეიძლება გავიტანოთ მეტიც.

თ. საბუთების შემცველი ხელნაწერი კრებული აღიწერება საბუთების აღწერის მიღებული წესით, აღინიშნება: მიმცემი, მიმღები, საბუთის რაობა, თარიღი.

14. მასალის აღწერის შემდეგ იწერება შენიშვნები. შენიშვნებში აღინიშნება

ა. ხელნაწერის დამატებითი მასალა: წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა ან რაიმე დანართი.

ბ. თხზულება თუ თარგმნილია, ცნობა მთარგმნელის შესახებ.

გ. ხელნაწერი თუ ვინმეს მიერ აღწერილი ან გამოქვეყნებულია, მითითება ლიტერატურაზე.

დ. ხელნაწერი თუ პალიმფსესტია, ძველი ტექსტის ხელი და დაწერის დრო.

ე. აღინიშნება აგრეთვე ხელნაწერი თუ რაიმეს მხრივ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას.

15. ქარაგმა მოტანილ ტექსტში გაიხსენება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის დაწერის ორთოგრაფიული წესი ხელნაწერის მიხედვით სავსებით ნათელია.

16. შენიშვნების შემდეგ აღწერილობაში გაიტანება ანდერძები და მინაწერები. უნდა გატანილ იქნას ყველა ანდერძი. თუ ანდერძები სტერეოტიპულია, გაიტანება მხოლოდ ერთი, დანარჩენებზე კი მიეთითება (გვერდების აღნიშვნით).

აღწერილობაში შეიტანება მხოლოდ ისეთი მინაწერები, რომელთაც რაიმე ეცნიერული მნიშვნელობა აქვთ, ანდა უშუალოდ ხელნაწერს უკავშირდებიან.

17. ხელნაწერთა აღწერილობას უნდა დაერთოს საძიებლები:

ა. ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, შედგენილი იმ წესის მიხედვით, რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ტომშია ჩამოყალიბებული.

ბ. ეტრატის ხელნაწერები;

გ. პალიმფსესტები;

დ. მოხატული ხელნაწერები;

ე. პირთა საძიებელი; პირთა საძიებლისათვის მასალა გატანილი უნდა იქნას სრულად როგორც ტექნიკური აღწერილობიდან, ისევე ტექსტიდან. ამოწერილ პირებთან ფრჩხილებში უნდა აღინიშნოს: ავტორი, გადამწერი, დამკვეთი, მთარგმნელი, რედაქტორი, მთქმელი, შემკრები.

გ. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი; მასალა უნდა გატანილ იქნას სრულად. საძიებელში, გარდა გეოგრაფიული ადგილებისა, უნდა აღინიშნოს ციხეები, ტაძრები, მონასტრები.

ზ. დარგობლივი საძიებელი; დარგობლივ საძიებელში უნდა გამოიყოს საეკლესიო და საერო მწერლობა და თითოეული მათგანი დანაწილდეს დარგებად, რომელიც ანბანზე დალაგდება. დარგებს განსაზღვრავს ხელნაწერთა აღწერილობაში შესული მასალა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949.
  2. კ. კეკელიძე, წვლთაღრიკება ძველ საქართველოში (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945).
  3. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია. შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ, 1955).
  4. ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი, „სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, XXXIX. (1950), გვ. 77 — 84.
  5. ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), შეადგინა ილ. აბულაძემ, 1949.
  6. Д. П. Гордеев, Миниатюры грузинских древних рукописей С.-Петербургского древнихраниишца в Тифлисе, Ars № 2 — 3, 1918.
  7. ქართულ ხელნაწერთა მართვლობის ნიმუშები, რენე შმერლინგისა და გ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1940.
  8. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, 1951.
  9. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. I. ახალი ქართლის ცხოვრება, 1954.
  10. ხანმეტილექციონარი (ფოტოტიპური გამოცემა), გამოსცა ა. შანიძემ, 1944.
  11. ქართული ოაზხათეის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1955.
  12. Л. В. Черепнин, Русская палеография, 1956.
  13. ქართული ხელნაწერების აღწერილობები.
-



ს ა რ რ ი ვ ი

წინასიტყვაობა .....	3—4
1. ქართული დაწერილობა და მისი სახეები .....	5—21
2. დაწერილობის მასალა და იარაღები .....	2—31
3. წერის ტექნიკა და მასთან დაკავშირებულ საკითხები .....	31—35
4. ხელნაწერის შემადგენელი ნაწილები .....	35—40
5. წიგნის შემზადება .....	40—45
6. წიგნის მხატვრული შემოკობა .....	46—50
7. დანიშნებული ხელნაწერების განახლება .....	51—53
8. ხელნაწერთა დათარიღება .....	54—62
9. ხელნაწერთა აღწერილობა .....	63—67
10. გამოყენებული ლიტერატურა .....	68

რედაქტორი ნ. შახათაძე,  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI—57 წ. წ. ანაწყოების ზომა 6 X 11  
ქალაქის ზომა 60 X 90. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 4,75. სააღრიცხვო—4,3  
საავეტარო 4,1. შეკვეთის № 452 ტირაჟი 300.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფიამომცემლობის 1-ლი სტამბა.  
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главолигграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР,  
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.